


36936350 30350000333

50 നാഗ്ര

36KN 33KL35M635N3!



ᲒᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝᲖᲔ **ᲒᲐᲓᲐᲔᲠᲗᲝ**

ესეც ასე, ამ ზაფხულის პირველი ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარ-ხულია. "ბარსელონამ" დიდი ხნის ნატვრა აისრულა. მომავალი სეზონიდან კატალონიურ გრანდში ტიე-რი ანრი ითამაშებს. ინფორმაციას, რომელიც გუშინ გვიან ღამით ყველა წამყვანმა გამოცემამ (BBC, გაძეტა დელო სპორტი, მარკა, as) გა-ავრცელა, უკვე "ბარსას" ოფისიც ადასტურებს. მოლაპარაკებები ლონდონში მიმდინარეობდა. კატალონიელთა ვიცე-პრეზიდენტმა ფერან სორიანომ ჟურნალისტთა დაწოლას ვერ გაუძლო და აღიარა, რომ 29 წლის ფრანგმა ფორვარდმა ესპანეთის ვიცე-ჩემპიონთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რის სანაცვლოდაც "არსენალი" 24 მილიონ ევროს მიიღებს.

ბოლო პერიოდის ამბები ნათლად მიუთითებდა იმაზე, რომ ან-რი, რომელმაც შარშან "მეთოფეებთან" ასევე 4-წლიან ხელშეკრუ-ლებას მოაწერა ხელი, აღმასრულებელი დირექტორის დევიდ დი-ნის გადადგომის (აპრილში) გამო, ლონდონში დიდხანს აღარ გაჩერდებოდა. ასევე საყურადღებო იყო ანრის მეგობრისა და სანაკრებო თანაგუნდელის პატრიკ ვიეირას სიტყვები, რომელიც BBC-სთან ინტერვიუში ითქვა - რაკი "არსენალი" შემადგენლობის გაძლიე-რებაზე არ ფიქრობს, დარწმუნებული ვარ, ანრი სხვა გუნდში გადავაო. ეს "სხვა გუნდი" კი, შეიძ-ლება, "ინტერიც" ყოფილიყო, მაგ-რამ როგორც ხედავთ, "ბარსელონას" მეტი მარიფათი აღმოაჩნდა..

სამაგიეროდ, "ინტერი" ლანს" დავიდ სუასოს უკან ართმევს. უცნაური ისტორიაა. ჰონდურასელმა ფორვარდმა ჯერ "ინ-ტერთან" გააფორმა კონტრაქტი (მიუხედავად "კალიარის" მესვე-ურთა მხრიდან საწინააღმდეგოს მტკიცებისა), ორი დღის შემდეგ კი "მილანში" ამოყო თავი. ამ "მი-ლანსა" და "ინტერს" მტრობა ისედაც არ აკლდათ და აჰა, ახალი მი-ზეზიც. ისე, მასიმო მორატი თავიდანვე იმედიანად კი იყო - ყველა წესით და კანონით სუასო ჩვენ გვეკუთვნისო. გუშინდელი გარჩევების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ კა-ნონი მართლაც "ინტერის" მხარესაა. მორატი კმაყოფილი იყო: "ჩვენ ეს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. იმედი მაქვს, სამართალს მივაღწევთ. ამ დღეებში ყველაფერს ნათელი მოეფინება".

ამასობაში კი, უკვე გაჩნდა ინ-ფორმაცია, რომ ხელმოცარული "მილანი" რონალდინიოს ფრონტზე გადაერთო. ესპანურ წყაროთა მტკიცებით, "ბარსელონაში" ანრის მისვლა, ორიდან ერთის - რონალდინიოს ან ეტოოს აბარგებას მოასწავებს...




&ue?awau പാദാദ്യദ് บววฯ๕บรว

3033493 აღიაგა

JUSSUF പരാച്ചെട്ടാള ച്യവായാഴി JEGGEEE

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲙᲐᲮᲐ 5~5%5330~005E

୧୯၁୮ 1667 გეღენყღეს



760 334


დავით პოხრეიძე

დღეს, თბილისის დროით 17.30 საათზე კოსტანაის ცენტრალურ სტადიონზე ინტერტოტოს თასის გათამა-შების პირველ წრეში "ზესტაფონი" ყაზახურ "გობოლს" დაუპირისპირდება.

ები ყაზახე ეთში გუშინ, საღა მოს შვიდ საათზე უნდა გაფრენილიყვნენ. გუნდთან ერთად ოთხი ჟურნალისტი და "ზესტაფონის" თავგამოდებული ქომაგი, ტელენამყვანი ნიკა ქავთარაძე მივემგზავრებით. თბილისის საერთასორისო აეროპორტში რეგისტრაციის გასავლელად 17 საათზე მივდივარ, რათა ყველა ფორმალობა დროულად მოვაგვარო და მწვრთნელ-ფეხბურთელებთან სასაუბროდ დავიტოვო დრო. დაახლოებით 18 საათზე გუნდის ავტობუსიც გამოჩნდა. ფეხბურთელებთან და სამწვრთნელო შტაბთან ერთადა კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაიაცაა. ზესტაფონელები რეგისტრაციის გასავლელად ემზადებიან, თუმცა გუნდის მესვეურთა გამომეტყველებაზე ჩანს, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის. კოკაია ვიღაცას მო-

ბილურით ესაუბრება და მდგომარეობის გარკვევას ითხოვს... გაკვირვებული არი-ან ფეხბურთელებიც. "*როგორ თუ რეისი* გადაიდო, როდისლა უნდა ჩავიდეთ ყაზა-ხეთში? ასე ხომ პირდაპირ თამაშზე მოგვინევს გასვლა" - აღშფოთებული არიან გუნდის წევრები. როგორც აღმოჩნდა, "ნაციონალური ავიახაზების" კუთვნილ თვითმფრინავს ტექნიკური პრობლემები შეექმნა და თბილისში დანიშნულ დროს ჩამოფრენა ვერ მოახერხა, გუნდის გამგზავრება 5 საათით გადაიდო. "ზესტაფონის" ხელმძღვანელობა გაოცებას ვერ მალავს: "დამატებით" 10 000 დოლარი გადავიხადეთ, რომ ყაზახეთში დროზე გავფრენილიყავით და საქმისადმი ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება როგორ შეიძლება. ღამის პირველ საათამდე ვერ გავფრინდებით, ფეხბურთელები ფაქტობრივად დასვენებას ვერ მოასნრებენ და ეს ყა ზახების წისქვილზე დაას-ხამს წყალს". როგორც ითქვა, "ნაციონა-ლური ავიახაზების" თვითმფრინავი, რომლითაც კოსტანაიში უნდა გადავფრენილიყავით, ალმატიში დაზიანდა ზესტაფონელებმა დამატებით 10 000

ლარი გადაიხადეს, რომ პარიზიდან ჩამოფრენილ "აირზენის" კუთვნილი ბო-ინგით კოსტანაიმდე დანიშნულ დროს ჩაფრენილიყვნენ, მაგრამ ღამის 12 საათამდე, თურმე, თბილისში ბოინგიც ვერ ჩამოვიდოდა, ეს კი ზესტაფონელებისთ-ვის არავის შეუტყობინებია და გუნდი ფაქტის წინაშე დადგა... სხვა რა გზა იყო, ფეხბურთელებს ავტობუსში უხმეს და სასტუმროში დააბრუნეს... ჩვენც იმ იმედით დავტოვეთ აეროპორტი, რომ კიდევ ერთხელ არ შეიცვლებოდა ყაზახეთში გამგზავრების დრო...თუმცა... უკვე 23 საათია, რედაქციაში ვიმყოფები და ეროპორტში წასასვლელად ვემზადები. ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკა**რაძე რეკავს და ახალ ამბავს მატყობინებს: თვითმფრინავი ჯერ არ ჩამოფრენილა, ძალიან აგვიანებს, კოსტანაიში ხვალამდე ვერ გავფრინდებით... ძალიან არახელსაყრელ სიტუაციაში აღმოვჩნდით, თუმცა ეს არაფერს შეცვლის. ჩვენ ხვალინდელ მატჩში პოლომდე ვიპრძოლებთ და იმედი მაქვს, რომ წარმატებას მივაღწევთ."



ზესტაფონელებს აეროპორტში ლოდინი დიდხანს მოუნ




www.kazbegi.com

a5kb360.... 186586

11367 www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ





დიმიტრი რამიშვილი

566036030

MJanaaner L **ᲐᲘ**ᲠᲩᲔᲕᲔᲜ

დღეს, 23 ივნისს "ლოკომოტივის" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტს აირჩევენ. კონფერენ-ცია დილით, 11:30 საათზე დაიწყება.

ლიგის პრეს ატაშე პაატა ბურჯალიანის ცნობით, კონფერენციას 14 დელე-გატი დაესწრება - ისინი უმაღლესი ლიგის გუნდებს წარმოადგენენ.

პრეზიდენტის ვინაობა კი ისედაც ცნობილია - საარჩევნოდ რეგისტრაცია მხოლოდ ლიგის დღევანდელმა პრეზი-დენტმა დიმიტრი რამიშვილმა გაიარა. მას კონკურენტი არ ჰყავს.

მერაბ მამულაშვილი

യാദന്നെടാക്റ

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲡ ᲕᲐᲟᲘ ᲨᲔᲔᲫᲘᲜᲐ

გერმანიაში საფეხბურთო სეზონი დასრულდა და "კიკერმმა" წლის შედეგები დააჯამა. "კიკერის" ვერსიით, მეორე ბუნდესლიგის მეორე წრის საუკეთესო ფორვარდი ალექსანდრე იაშვილია.

"მეორე ბუნდესლიგის მეორე წრეში შვიდი ფორვარდი გამოვარჩიეთ. ამ შვიდეულს ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს – "ფრაიბურგის" ყოფილი თაედამს-ხმელი ალექსანდრე იაშვილი და "მიუნხენ 1860-ის" ფორვარდი ბერქანთ გიოქთანი. საბოლოოდ, 29 წლის ქართველმა გადაწონა მეტოქე და შვიდეულში პირველ ად-

არცთუ კარგი პირველი წრის შემდეგ, იაშვილი სეზონის მეორე ნახევარში "აფეთქდა". გოლების გატანის გარდა, საქართველოს

ნაკრეპის ფორვარდმა საგოლე პასებიც მი-กอารูงตาง. กงฮิรูกตาก งา่างการ์กา กษุกา อางรูตงไปประ შიც და ფორვარდების უკანაც. ის ფლანგეზეც კარგად თამაშობდა და "ფრაიბურგის" შედეგიანობაში ლომის წვლილი მიუძღვის. ფოლკერ ფინკეს ფორმაციის "ფრაიბურგში" ალექსანდრე იაშვილი ყოველთვის წამყვანი ფიგურა გახლდათ", - წერს "კიკერი".

დაბოლოს იაშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთ სასიხარულო ამბავსაც გაცნობებთ. მას გუშინ ვაჟი შეეძინა, რომელსაც თომა დაარქვეს. ლელოელები ვუერთდე-ბით იაშვილების სიხარულს და ახალშობილს ჯანმრთელობასა და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ.

დავით (338343)



ალექსანდრე იაშვილი

304063063

საძართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბექა ჟღენტი, შესაძლოა, ჰოლანდიის ერედივიზიონის "ჰერენვენში" აღმოჩნდეს. ინფორმაცია დ ფეხბურთელმა გაგვიმხილა.

"მოსკოვის "გორპედომ" გრანსფერზე დამაყენა და ახალი სეზონი, შესაძლოა, სხვა გუნდსა და ქვეყანაში დავიწყო. ჩემმა მენეჯერმა მითხრა, რომ ჰოლანდიური კლუბი "ჰერენვენი" დააინტერესა და მოსამზადებელ ეტაპზე გამსინჯავენ. ყოველ შემთხვევაში, მითხრა, რომ გუნდს შეკრება ზე გავყვები".

მართალია, ჟღენტს მოსკოვის "ტოპედოს" დატოვება ადრეც სურდა, მაგრამ რუსებმა იმხელა თანხა მოითხოვეს, გუნდის მოძებნას, დროებით "ტორპედოში" დარჩენა და დუბლებში თამაში ამჯობინა.

"მხოლოდ პოლო სამი კვირა გამიცდა, რადგან ფეხი ვიტკინე და თითზე ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. ცოტა ხანი თბილისში გავჩერდები და მალე ვარჯიშს ავთო ბერიძესთან გავაგრძელებ. არ მინდა, ჰოლანდიაში ფორმიდან ამოვარდნილი ჩავიდე. მსუბუქად ახლაც ვვარჯიშობ, ფიტნესკლუბში დავდივარ, წონის პრობლემაც დიდი ხანია, აღარ მაწუხებს და მალე ბურთით ვარჯიშსაც შევუდგები", - აღნიშნა ფეხბურთელმა "ლელოსთან" საუბარში.

ბექას თქმით, მოსკოვის "ტორპედოს-თან" გამოსასყიდ თანხაზე შეთანხმდა და როგორც ამბობს, რუსები სატრანსფერო

ფურცელს შედარებით იაფად დათმობენ. "და თუკი თანხა მაინც პრობლემა გახ-დება, მაშინ მინიმუმ ერთწლიან არენდას მოვითხოვ. სამი და ოთხი თვით გუნდიდან გუნდში მოგზაურობა არ მინდა. იმედია, "ჰერენვენში" მწვრთნელს თავს მოვაწონებ და იქნება რუსეთს თავი დავაღნიო. "გორპედოში" ორი წელი დავკარგე და აღარ მინდა გაჩერება. პირველ ლიგაშიც კი არ მათამაშებენ და მხოლოდ დუბლებში გამოვდივარ. 21 წლის პიჭისთვის კი ასეთი მდგომარეობა მიუღებელია", - გვითხრა ჟღენტმა.

მერაბ **მ**ამულაშვილი



aue?auau moay 1976 บววพระบรว

პამერუნელ ნახევარმცველ **რაი-**მონ ვუკუესა და გაბონის ნაკრების მე-კარე დიდიე ოვონოს შემდეგ, თბილისის 'დინამოში" კიდევ ერთი ახალი ლეგიონერი გამოჩნდა. ჩეხური "პრიბრამის" 31 წლის მარცხენა მცველი **მიხალ ლეშაკი** დილმის საწვრთნელ ბაზაზე გუშინ დი-ლით გამოჩნდა და **დუშან უჰრინის** გუნდში ივარჯიშა კიდეც. ჩეხურ ვებგვერდებზე მოპოვებული ცნობები მცველის გამორჩეულობასა და საიმედოობაზე მეტყველებს. "პრიბრამამდე" მიხალ ლეშაკი "ბანიკში", "ბოჰემიანსსა" და "ჰრა-დეც კრალოვეში" ასპარეზობდა.

დღეს, 18 საათზე თბილისის "დინამო" თანაქალაქელ "ლოკომოტივთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს.

დავით (338343

17-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

BYETOKU UYKTOMAU 9W9397P 939973P

2-8 ი3ლისს თურქეთი შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადას უმასპინძლებს, რომლის საფეხბურთო ტურნირში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. სხვა ნაკრებები 1990 წელს დაბადებულებით იასპარეზებენ, ჰერბერტ ცანკერი კი თურქეთში ერთი წლით პატარებს იახ-

მწვრთნელმა ამ ტურნირისთვის ნაკრებში შემდეგ ფეხბურთელებს უხ-

მეკარეები: თორნიკე ნიჟარაძე, გიორ-გი შარიქაძე (ორივე დინამოს აკადემია). მცველები: ერნესტ ახალბედაშვილი, თორნიკე კაკუშაძე (ორივე დინამოს აკადე-მია), ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), ალექსი ქაშაკაშვილი (თ. სულაქველიძის

აკადემია). ნახევერმცველები: დავით რიგვავა, დავით მეგრელიშვილი, ნიკა შონია, ლუკა გუგუჩია, დავით ლორთქიფანიძე (ყველა

გუგუჩია, დავით ლორთქიფახიძე (ყველა ოლიმპის აკადემია), გიგა მელიქიშვილი (კახეთი), ნიკა ძალამიძე (გაია).

თავდამსხმელები: ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი), ირაკლი შეყილაძე (გაია), ლავით ვაშაკიძე (ოლიმპის აკადემია), ზურაბ ხურციძე (ტორპედო).

ტურნირის მონაწილე 10 გუნდი ნილის არაქ სამ გაგაფიში.

ლისყრამ სამ ჯგუფში ასე გადაანაწი-

A ჯგუფი: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა.

В ჯგუფი: უკრაინა, რუმინეთი, საბერძნეთი

С ჯგუფი: თურქეთი, საქართველო, ალბანეთი.

როგორც ხედავთ, მხოლოდ A ჯგუფშია 4 გუნდი და შესაბამისად, ნახევარფინალში სამ პირველადგილოსანს ამ ჯგუფის მეორეადგილოსანი დაემატება. 3 ივლისს ჩვენი გუნდი თურქეთს ეთამაშება, ორი დღის მერე კი - ალბანელებს. ორივე მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება. პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში, ჩვენი ნაკრები 6 ივლისს, ნახევარფი-ნალში, კერუსენში, B ჯგუფის მეორე-ადგილოსანს ეთამაშება. ფინალი და მატჩი მესამე ადგილისათვის კი ტრაბზონში 7 ივლისს გაიმართება.

ჰერბერტ ცანკერის გუნდი დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში მოსამზადებელ შეკრებას გაივლის.

"ნაკრებში ნიჭიერი და გამორჩეული ფეხბურთელები გამოვიძახეთ. ისინი, რომელთაც ორიოდე თვის წინათ სლოვენია-ავსტრიაში ჩინებულად წარმოაჩინეს თავი და ვიმედოვნებ, თურქეთშიც კარგად ითამაშებენ. საბოლოო შემადგენლობას თბილისური შეკრების შემდეგ დავასახელებ. ჩვენი მიზანი ტურნირის მოგებაა", - აღნიშნა ცანკერმა.

დავით (3) გებე ქე

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲙᲐᲮᲐ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

84721637439 679773297 ᲗᲐᲕᲐᲦ ᲒᲐᲦᲐᲕᲬᲧᲕᲘᲒᲔ പ്രാധാനമ്പ പ്രോപ്രാ

პიევის "დინამომ" ქართველ ფეხბურ-თელთა სამეულის (ოთარ მარცვალაძე, დათო იმედაშვილი, კახა ალადაშვილი) გაშვება გადაწყვიტა. ეს სიახლე უკრაი-ნულ "სპორტ-ექსპრესს" კიეველთა პრე-ზიდენტმა იგორ სურკისმა გაუმხილა: ქართველ ლეგიონერთა ტრიო ოთარ მარცვალაძე, დათო იმედაშვილი, კახა ალადაშვილი, ტრანსფერზე დავაყენეთ. თუმცა ჯერ მათ მიმართ ინტერესს არც ერთი კლუბი არ იჩენს"

გუშინვე კახა ალადაშვილს დავუკავ-შირდით, რომელმაც მომხდარზე განსხვავებული ინტერპრეტაცია მოგვაწოდა:

- ტრანსფერზე კიეველთა ნებით არ დამაყენეს. ეს თავად ჩემი სურვილი იყო. გუნდში ორი წელია ვირიცხები და ძირითადში მოხვედრის შანსი ერთხელაც არ მოუციათ. დაშორება ჯობდა და ვთხოვე კიდეც ჩემს მენეჯერ ახრიკ ცვეიბას, ახალი კლუბი მოეძებნა.

გუშინ ცვეიბა და მისი მეგობარი ოლეგ ლუჟნი სურკისს შეხვდნენ და ჩემზე ისაუბრეს. ლუჟნი დინამოელია, დუბ-ლებთან მუშაობს და საკმაოდ დიდი ნო-ნაც გააჩნია. "დინამოს" პრეზიდენტს ჩემი დატოვება სურდა და პირადადაც მითხრა, რომ ავსტრიის შეკრებაზე გავყოლოდი. მეც ვუთხარი, რასაც ვფიქ-რობდი, რაც მაწუხებდა და სხვაგან წასვლა რომ მსურდა. "დინამოში" ჩემს პერსპექტივას ვეღარ ვხედავ-მეთქი.

სხვათა შორის, ზამთარშიც სხვაგან დავაპირე გადასვლა და დაბრუნება გუნდმა მომთხოვა. მაშინ სხვა გზა აღარ დამიტოვეს. ეტყობა, სურკისმა ამ საუბრის შემდეგ გადაწყვიტა ჩემი ტრანსფერზე დაყენება.

- რახან ასე დაიჟინე, წასასვლელი გუნდიც მოძებნილი გექნება.

- დიახ, ასეა, მენეჯერმა ეს წინასწარ მოაგვარა.

- რომელ გუნდში მიდიხარ?

რუსეთში, მაგრამ სანამ საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება, დაკონკრეტება არ მსურს

- კიეველები დიდ თანხას ითხოვენ? - სურკისს თანხაზე ცვეიბა უკვე შეუთანხმდა. ახლა მთავარია, ახრიკი რუსებს მოელაპარაკოს და მერე უკვე ტრანს-ფერსაც გამოისყიდის. ამის შემდეგ რუსეთში უნდა ჩავიდე, გუნდში ვივარჯიშებ, რამდენიმე დღე შემხედავენ და ალბათ, კონტრაქტსაც გავაფორმებთ.
- მარცვალაძისა და იმედაშვილის

საქმე როგორაა?



კახა ალადაშვილ

ისინიც წამოსვლას აპირებენ, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ კიეველებთან სატრანსფერო თანხაზე შეთანხმება. ასე ჩვენს ყოფნას არც გუნდისთვის აქვს აზრი და არც ჩვენთვის. ნაკრებში ადგილები დავკარგეთ, რაც ყველაზე მტკივნეულია. პირადად მე, ეროვნულში ადგილის დაბრუნებაზე ვფიქრობ და საამისოდ, ყველაფერს გავაკეთებ. კლაუს ტოპმიოლერსაც ვერ გავამტყუნებ, უთამაშებელ ფეხბურთელს ნაკრებში ვერ მიინვევდა.

მერა<u>ბ მ</u>ამულაშვილი

യാദാന്ത്യാട്ര

akmeme ajajajkejaanc

ლატ300ს უმაღლეს დივიზიონ ვირსლიგაში მე-13 ტურის მატჩები გაიმართა. ქართველთა კლუბებმა იმარჯვეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს მდგომარეობა. ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" "ოლიმპსი" დაამარცხა 2:0, ხოლო "სკონტომ" სტუმრად ასეთივე ანგარიშით ლიდერ "მეტალურგსს" მოუგო. "ვენტსპილსი" 24 ქულით მესამე ადგილზეა და დაწინაურებულ "მეტალურგსს" ოთხი ქულით ჩამორჩება, "სკონტოს" კი 22 ქულით მე-ოთხე პოზიცია უკავია. თამაზ პერტიას

"დინაბურგს" 14 ქულა აქვს, ქართველი მწვრთნელის კლუბი მეექვსეა. გუშინ პერტია და მისი შეგირდები ბრიტანეთში გაფრინდნენ, სადაც ჩრდილოირლანდი-"კლიფგონვილთან" ინტერტოტოს თასის მატჩს გამართავენ. პერტიამ "უინძორ პარკზე" სათამაშოდ ალბიონზე არ იახლა დუბლის ფეხბურთელები როლანდ სვანიძე და ბექარ გიორგაძე. მოკლედ, დღეს ევროთასებზე კიდევ ერთი ქართველი მწვრთნელის დებიუტია.

"ვენტსპილსს" აუტსაიდერთან მატჩ-

ცველი ზურაბ მენთეშაშვილი. ტო" ლიეპაიას კი ზაალ ელიავას გარეშე ეწვია, ქართველი მცველი ალბათ აღარ ითამაშებს ლატვიურ კლუბში. სამაგიეროდ, შეუცვლელად ითამაშა 196 სანტ მეტრი სიმაღლის მცველმა დავით გამეზარდაშვილმა. გაიმართა ლატვიის თასის ნახევარფინალების წილისყრა, "სკონტო" "ვენტსპილსს" უმასპინძლებს, მატჩი 3 სექტემბერს გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე





გახსენე... 983331

e e promores de

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

www.pfl.ge



რუსთავის "ოლიმპი" "ნორჩი დინამოელის" სტადიონზე სეზონისთვის ემზადება. დღეიდან კი გუნდი დიდუბის მანეჟის სასტუმროში დაბანაკდება. როგორც ყოველთვის, შესვენება სეზონებს შორის სიახლეებთანაა დაკავშირებული და გამონაკლისი არც ჩემპიონია.

გუშინ თბილისში გაბონის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **ერნესტ აკასაგა** ჩამოვიდა. კამერუნელთა სამეულს და ერთ კონგოელს კი რუსთაველები მოგვიანებით ელიან.

გუშინ გია გურულს დავუკავშირდით, რომელმაც ფეხბურთელების შესახებ საინტერესო ინფორმაციები მოგვანოდა: "აკუსაგა ერნესტი გაპონის

ნაკრების წევრია. თამაშობს ცენტრალურ მცველად და ამასთანავე, საყრდენი ნახევარმცველობაც შეუძლია. დანარჩენი სამი კამერუნელია და ისინი ორშაბათს, ასევე პარიზის რეისით ჩამოდიან: ცენტრალური მცველი ეენი აპანდა პოლინი, საყრდენი ნახევარმცველი ბოსამბე მუტურუ ერიკი და ფორ-ვარდი ეიენგა ანისე. 28 ივნისის ღამეს კი კონგოს ნაკრების ფორვარდ მასუანგა ბოდრი ჯილდასს ვაგზავნი.

აკუსაგა ერნესტი, ცენტრალური მცველი, საყრდენი ნახევარმცველი (გაბონი) **අ**රට 16.09.1985

1,800 / 78 32

mლ0330

Ր၁ᲗᲣᲠᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ **LIEU7EUP 93497EU7**

ᲥᲔᲑᲐᲫᲔ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ, ᲒᲐᲑᲝᲜᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ეენი აგანდა პოლინი, ცენტრალუ- მას ძირითადში მოხვედრის პრობლემა რი მცველი (კამერუნი) Დაიგადა 21.06.1984

1,868 / 7838 **ბოსამბე მუტურუ ერიპ** საყრდენი ნახევარმცველი (კამერუნი) ᲓᲐᲘგᲐᲓᲐ 28.05.1989

1,869 / 7938 000685 ანისე,ფორვარდი (კამერუნი) **අ**රට අර 09.08.1986 1,918 / 8538

ദാധ്യാ685 മനയ്കറ ചറയ്ക് 20 യംഗ-1,758 / 7438

"ოლიმპში" რამდენიმე ქართველი ფეხბურთელიც დაიმატეს. გასარკვევი დარჩა თბილისის"დინამოს" მცველის, დავით გიგაურის ტრანსფერის საკითხი. ფეხბურთელი კლუბს პირად კონტ რაქტზე შეუთანხმდა, ახლა "ოლიმპმა" და "დინამომ" ფეხბურთელის საკომპენსაციო თანხაზე უნდა მოილაპარაკონ და შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში გიგაური საქართველოს ჩემპიონთან სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

რუსთაველებთან ვარჯიშობს მარცხენა მცველი **გელა ხუბუა** და გუნდის შეცვლას არც აპირებს. მისი წაყვანა ზუგდიდის "მგლებს" სურდა, მაგრამ ფეხბურთელი ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშს აპირებს. გელას თქმით, ძოძუაშვილის დროს ჰქონდა და რადგან იგი წავიდა, "ოლიმპში" რჩება. "ოლიმპმა" ქუთაისის "ტორპედო

დან" მეკარე მაქსიმე ქვილითაია დაიმატა, დუბლებიდან კი ნახევარმცველები დავით კაკულია, გიორგი როსტიაშვი-ლი, არჩილ სებისკვერაძე და მეკარე მიხეილ ხარშილაძე. ვარლამ კილასონია "გაგრის" მარჯვენა მცველ **ნოდარ მგა**ობლიშვილსაც აკვირდება, რომლის ტრანსფერიც ჯერ არ გადაწყვეტილა

გუშინ არ უვარჯიშიათ მეკარე მირზა მერლანს, მცველ სერგო ორბელა**ძეს** და ნახევარმცველ **ლაშა ქებაძეს**. მერლანი ოჯახური პრობლემების გამო, ერთი დღით გაათავისუფლეს, ორბელაძემ მცირე ტრავმა მიიღო და გართულების თავიდან ასაცილებლად, ერთი დღით დაასვენეს.

ლაშა ქებაძეს კი არც ტრავმა მიულია და არც ვარჯიშიდან გაუთავისუფლებიათ. ის თურქეთში გასასინჯად წავიდა, მაგრამ რომელ გუნდში, ამაზე კლუბში ვერაფერს ამბობენ.

გიორგი ონიანი და გიორგი სეთურიძე ყოველ დღე მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისის" პასუხს ელიან. ამას გარდა, სეთურიძეს ოდესის "ჩერნომორეცში" სთავაზობენ ერთნლიან იჯარას, რამენსკოეს "სატურნში" კი გასინჯვას. თავად გერმანიაში სურს კარიერის გაგრძელება. წინასწარი ინფორმა

ციით, "კარლ ცაისს" ქართველების სამი წლით გადაბირება გადაუწყვეტია, თუმცა ყველაფერი დაზუსტებით უახლოეს პერიოდში გაირკვევა.

ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა კილასონიამაც ეს გვითხრა, სეთურიძეონიანის საკითხია გასარკვევი, დანარ-ჩენები, მათ შორის, **მიხეილ მახვილაძე** კი, ალბათ, რჩებიანო.

რუსთაველები უახლოეს პერიოდში ორ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ - 25 ივნისს თბილისის "ლოკომოტივს" მისსავე ბაზაზე, დიღომში ესტუმრებიან; 28 ივნისს კი "მერანს" შეხვდებიან, სად, მალე გაირკვევა. ორივე თამაში 18.00 საათზე დაიწყება

გუშინ კი გუნდმა ორმხრივი შეხვედრა ჩაატარა:

A - ალავიძე, კაკულია, გიგაური, ჭიჭვეიშვილი, ხუბუა, სეთურიძე, კოშკაძე, აფციაური, გენაძე, დვალიშვილი, დვალი.

В - ქვილითაია, მგალობლიშვილი, მახვილაძე, ონიანი, სებისკვერაძე, როსტიაშვილი, ხარშილაძე, სილაგაძე, ნავალოვსკი, ჯიქია, კახელიშვილი

ხარშილაძე მეკარეა, მაგრამ მოთამაშეთა დეფიციტის გამო, კილასონიამ ის ნახევარდაცვას დაახმარა, მეორე ტაიმში კი მან ჩვეული ადგილი დაიკავა, მის პოზიციაზე კი ასევე მეკარე ქვილითაიამ ითამაშა.

მერაბ მამულაშვილი

JUJ 33M 87324UE619

30Რ3ᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

3ერაფერს ვიტყვით, მართლაც "მშვენივრად" მუშაობს "ნაციონალური ავიახაზები". ასეთი დაუდევრობის გამო, "ზესტაფონი" ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. ფაქტობრივად გუნდი წასაგებად განირეს. ტოტალიზატორებში "ტობოლის" გამარჯვებაზე კოეფიციენტმა საგრძნობლად დაიკლო. თუ გუშინ ქართველთა მოგებაზე ტოტალიზატორებში 2.25 იყო კოეფიციენტი, დღეს საღამოს უკვე 4.00-მდე ავარდა და პირიქით - ყაზა-ხების მოგება რომ 2,80-ით ფასდებოდა, 1.70-მდე დაიწია. ზოგიერთმა ტოტალი-ზატორმა საერთოდ შეწყვიტა ფსონების მიღება ამ მატჩზე. ასეთი რამეები ხშირად არა, მაგრამ სხვა თამაშებზეც მომხდარა, ამდენად გადაწყვეტით არაფერი ითქმის. ერთი საინტერესო ფაქტიც: მატჩთან დაკავშირებულმა ამბებმა ევროპელი საფეხბურთო ჩინოსნებიც დააინტერესა და ნდობით აღჭურვილ ქართველებისგან ამასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება ითხოვეს.

რაც შეეხება გამგზავრების დროს, ბოლო ინფორმაციით ყაზახეთში ხვალ დილის 8 საათზე გავემგზავრებით. და ახლოებით 11.30 ნუთზე კოსტანაიში

სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, ზესტა-ფონელები კარგ განწყობაზე იყვნენ და საუბარზეც სიამოვნებით მთანმხდებოდნენ.

გოგი ფიფია: "ძალიან მძიმე ბრძოგველის, ყაზახეთში გახურებული ჩემპიონატია და ჩვენი მეტოქე კარგ ფორმაში იმყოფება. ჩვენ კი მძიმე სე-ზონის შემდეგ ჯეროვანი დასვენება ვერ მოვასწარით. მიუხედავად ამისა, ბიჭები საბრძოლველად ვართ განწყო-ბილნი. ტობოლის" თამაშის ამსახველი ვიდეოფირები ვნახეთ და ყაზახური გუნდი კარგად შევისწავლეთ. ყველანაირად ვეცდებით, რომ იქ ისეთი თამაში

ვაჩვენოთ, განმეორებით მატჩში საქმეს რომ გაგვიადვილებს"

შალვა ღონღაძე: "გასვლითი მატ-ჩია და აქცენტი კონტრშეტევებზე გვექნება გადატანილი. პირველ შეხ-ვედრაში ლია თამაშს ვერ ვაჩვენებთ. ყველა ლონეს ვიხმართ, რომ ყაზახეთში ფრე მაინც ვითამაშოთ. რა თქმა უნდა მოგებასაც შევეცდებით და თუ გამოგ-ვივიდა ამას რა აჯობებს?"
პოლ კესანი: "აფრიკის თასის შესარჩევ ეტაპზე გაბონის ნაკრებში ვიყავი გამოძახიბული მათასას

ყავი გამოძახებული. მადაგასკართან გავიმარჯვეთ და ეროვნული გუნდიდან ცოტა არ იყოს დაღლილი ჩამოვედი. ახლა კიდევ ერთი დამქანცველი მგზავრობა გვინევს, თუმცა ფეხბურთელის კარიერა ასეთია... გუნდს გვიან კი შევუერთდი, მაგრამ კონდიციეპის აღდგენა მოვასწარი, ხვალინდელი მატჩისთვის მზად ვარ. იმედი მაქვს, რომ ძირითად შემადგენლობაში ვიქნები და გუნდს დიდ სარგებელს მოვუ-გან. ვიდეოფირები ვნახეთ და მეგოქეზე წარმოდგენა შეგვექმნა. ხელწამი საკრავი გუნდი ნამდვილად არ არის, თუმცა ყაზახური ბარიერი აუცილებლად უნდა გადავლახოთ"

თემურ მახარაძეც გამოჩნდა. ცოტა შეფიქრიანებული მეჩვენება, ეტყობა, რომ მძიმე ბრძოლის მოლოდინშია, მისი ფორმაციის "ზესტაფონი" ხომ პირველად მონაწილეობს ევროთასებზე. მწვრთნელის კომენტარი ოპტიმისტურია: "გუნდში საბრძოლო განწყობაა. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და ბოლომდე დასახარჯად მზად არიან. "ტობოლი" კარგად შევისნავლეთ. მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ კარგი გუნდია. დალაგებულ ფეხბურთს თამაშობს, ათლეტური ფეხბურიელები ჰყავს, რომლებიც არც ტექნიკაშიც მოიკოჭ-ლებენ. კარგად აგორებენ ბურთს და ეტყობათ, რომ ერთმანეთთან შეთამა-



ილია კოკაია

შებული და შეწყობილი არიან. "გობოლის" 5 ფეხბურთელი ყაზახეთის ეროვ-ნული ნაკრეპის წევრია. ამ გუნდმა კი ცოტა ხნის წინათ სერბეთი დაამარცხა. მოკლედ, ნამდვილად რთულ თამაშზე მივდივართ. თანაც, კოსტანაიში ახლა ძალიან ცხელა. მატჩის ჩატარება ძა-ლიან რთულ პირობებში მოგვინევს, მაგრამ სიცხეა თუ სიცივეა, ჩვენ საკუ-თარ სამშობლოს წარმოვადგენთ და ყველაფერს გავიღებთ, რომ ყაზახეთიდან თავანეულები დავბრუნდეთ.

LUMEAU 73273 9734733326497977

სპძმმს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალ სეზონს "სიონი" ახალგაზრდული შემადგენლობით ჩაატარებს. ბოლნისელთა რიგები ნამყვანმა ფეხბურთელებმა კარგა ხნის წინ დატოვეს, მათი სათანადოდ შემცვლელები კი "სიონში" არ გამოჩენილან. ორშაბათს ბოლნისის ახალი გამგეობისა და "მადნეულის" ხელმძღვანელები კლუბის დირექტორატის წევრებს შეხვდებიან და კლუბის სამომავლო სტრატეგია ამ შეხვედრამ უნდა გაარკვიოს. ნაკლებად სავარაუდოა, ექსჩემპიონები მაღალ მიზნებს რომ შეეჭიდონ.

ლევან % ანეზაშვილი

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

ᲤᲝᲓᲐᲡ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ


"შტურმში" ტესტირებაზე მყოფ გიორგი შაშიაშვილთან მიმართებაში ავსტრიულ ვებგვერდებმა გუ-შინ ერთი საგულისხმო ცნობა გაავ-

"გიორგი შაშიაშვილი საიმედო მცველია. მას დაცვაში სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში. ეს ფეხბურთელია იმითაცაა მისაღები, რომ მისი ტრანსფერი ჩვენი კლუბის



ფინანსურ შესაძლებლობებს არ აღემატება", - ეს ფრაზა ერთ-ერთ ავსტრიულ გაზეთისთვის, "შტურ-მის" მთავარ მწვრთნელ ფრანკო ფოდას ინტერვიუდანაა.
დღეს, 23 ივნისს "შტურმი" მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ფოდას გუნდი სლოვაკეთის ჩემპიონ "ჟილინას" დაუპირისპირდება და როგორც ჩანს, გიორგი შა-შიაშვილის ტრანსფერის საკითხი სწორედ ამ მატჩზეა დამოკიდებული.

დავით ცაგაძე





გახსენ 0.... 98373

M 351 91 recipios s www.pfl.ge

0:0 CN%

2:1

0:1

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

8MA334M

ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ. ᲨᲔᲓᲐᲛᲔ

ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ: 7

በምርሬሕግሪ								
C C C C C C C C C C C C C C C C C C C	ลวงหก	UESCIOUSUP	SITICAL DE LA CONTROL DE LA CO	Handider	ENONDEIN			
გურული	23	22	1	1				
%. ჩხეტ ᲘᲐᲜᲘ	21	21	1	4	-			
ლაღაძ0	21	17	-	2				
65ය06590	15	12	1	1	-			
80P08	15	9		2				
a. ᲚᲝᲜᲚᲐᲫᲔ	15	9	2	1	-			
8380%3668389050		13	4					
d30ლ0の505 (303.)	13	12	-25	1	-			
ᲙᲝᲓᲐᲚᲐᲔᲕᲘ (ᲛᲔᲙ.)* ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲕᲐ	12	12 12	-8					
3656M36304	12	11	2	1				
3. Rb3@0\60	11	11	4	2				
30A73830C0*	11	9		2				
803803540**	11	9	1	2	-			
ರಣರುಗುಂದರಿ	ii	8	2					
ᲓᲝᲦᲝᲜᲐᲫᲔ*	11	5		1	-			
30305*	10	10			100			
090&999**	10	9	3	_	-			
რ. გარაგაძ0**	9	9		-	-			
წ ეძარეშველე	9	7	1	-				
ბ.	9	5	-	-				
Ლ. Კ ᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲔ**	8	7	1	1	-			
930@06290**	8	6	-	-				
ᲛᲣᲨᲙᲣᲓᲘᲐᲜᲘ*	8	4	3	1	-			
60%30%	6	5	-	1	-			
Gq3U@?U?*	6	1	-	1				
ന. "രംഗായായായ പ്രവേശത്ത് പ്രവേശത് പ്രവേശത്ത് പ്രവേശത്ത് പ്രവേശത്ത് പ്രവേശത്ത് പ്രവേശത്രവേശത്രവേശത്	5	4	1	1				
ᲛᲓᲘ36 Ი ᲨᲕᲘᲚᲘ**	5	1	_	-				
@\$\$040** -	4	4	-	-	mā.			
გ გლეგევე	4	3	_	_				
ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**	4	1	-					
**CPURSUMS	4	-	-	-	-			
3. 30°C\00000000000000000000000000000000000	3	3	-					
38565305**	3	3		-	-			
3033040++	3 2	3	2					
ጠ Ღ ᲘᲨᲐᲠᲘᲐ (ᲛᲔᲙ.)** Რ. ᲙᲐᲨᲘᲐ**	2	2 2	-2 -	-				
გოლერიძე**	2	2		-				
65480909**	2				-			
3M200919	1	1	_					
326096095**	i	i						
3989WQQQQQqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqqq	1	1	-	-				
87%03040*	î		-					
ხ ორავა*	1	-	-	-				
600000	i	-						
40920999p	1	-	-	-	-			
3580206540**	î							

- ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ ••- ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ

"ჩემპიონატი ძალიან კარგად დავიწყეთ. სამეულში მოხვედრას ვისახავდით მიზნად და მხარდაჭერის პირობებში, რეალურად შეგვეძლო წარმატების მიღწევა. სამწუხაროდ, მალე ფინანსურმა სირთულეებმა იჩინა თავი. გუნ-დმა ჩემპიონატის დიდი ნაწილი მძიმე პირობებში ჩაატარა. მეორე წრეში ძირითადად ახალგაზრდებით ვიასპარე-ზეთ, რომლებმაც შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებლობების მხოლოდ 60% თუ გამოავლინეს. შესაბამისი პირობები რომ ჰქონოდათ, ისინი გაცილებით მაღალ დონეზე ითამაშებდნენ. იმ ვითარებაში, რომელშიც ტორპედო" იმყოფებოდა, მე-7 ადგილი ნარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

ბევრი კარგი მატჩი ჩავატარეთ პირველ წრეში, თუმცა თბილისის "დინამოსთან" გამარჯვება მაინც გამოსარჩევია. იმ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა გამართული ფეხბურთი აჩვენა, თავსაც კარგად ვიცავდით და კონტრშეტევებზეც მწვავედ გადავდიოდით. ბოლო წუთზე კი გამეზარდაშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა და დიდი სიხარული მოგვანიჭა. სტუმრად "დინამოს" დამარცხება იოლი საქმე ხომ არ არის?

8305580 **ცული** მატჩი

ასეთები, ძირითადად, მეორე წრეში იყო. განსაკუთრებით ცუდად საკუთარ მოედანზე "დინამოსთან" 0:5 წაგებული შეხვედრა და "ბორჯომისგან" ნაწვნევი მარცხი მიმაჩნია, ამ მატჩებში ძალიან ჩემპიონატის დაწყებამდე "ტორპედოს" სპონსორად კომპანია "სამი ტუზი" მოევლინა. იქამდე, ქუთაისურ გუნდში დაპრუნდა გამოცდილი რევაზ ძოძუაშვილი, რომელმაც ბრძოლისუნარიანი გუნდი შეკრიბა და სამეულში მოხვედრა დაისახა მიზნად. მართლაც, რიონისპირელებმა ჩემპიონატი კარგად დაიწყეს და გარკვეული პერიოდი დაუმარცხებლად აგრძელებდნენ ასპარეზობას, მაგრამ ორიოდე თვეში კლუბის მიმართ სპონსორის დამოკიდებულება კარდინალურად შეიცვალა. "სამმა ტუზმა" გუნდის დაფინანსებაზე ხელი აიღო და... მიუხედავად უდიდესი სირთულეებისა, ქუთაისურ გუნდს პირველ წრეში დაგროვებული ქულების წყალობით, ლიგიდან გავარდნა არ დამუქრებია. მთავარ მწვრთნელთა ხშირი ცვლილებების ფონზე, ერთადერთი სპეციალისტი, რომელმაც "ტორპედოში" პირველიდან ბოლო ტურამდე იმუშავა, მიხეილ კვერნაძე გახლავთ. რევაზ ძოძუაშვილის მწვრთნელთ საბჭოს თავჯღომარეობისას იგი გუნდის მთავარ მწერთნელად ითვლეპოდა, შემდეგ კიკნაძისა და ზამთარაძის შტაბშიც მუშაობდა, მათი წასვლის მერე თავად წერთნიდა გუნდს, ბოლოს კი დავით ჯანაშიასთან იმუშავა. ყველაფერმა მის თვალნინ ჩაიარა და განვლილი სეზონის შესახებ მისი აზრიც ყველაზე კომპეტენტური იქნება.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲕᲔᲠᲜᲐᲫᲔ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ


ცუდი თამაში ვაჩვენეთ, თუმცა ამასაც ჰქონდა მიზეზები, ჩაშლილი იყოსაწვრთ-ნელი პროცესი და ფეხბურთელებიც არასათანადო ფორმაში იმყოფებოდნენ".

"პროფესიონალიზმი და ბრძოლისუნარიანობა. რევაზ ძოძუაშვილმა გუნდ-ში მკაცრი დისციპლინა შემოიტანა. ბევრს ვშრომობდით, რომ წარმატებისთვის მიგვეღნია. მერე კი, დაფინანსება, რომ აღარ გვქონდა, ბიჭებს გუნდზე ხელი არ აუღიათ. პროფესიონალურად უდგებოდნენ საქმეს და მოედანზე ბო-ლომდე იხარჯებოდნენ. პლუსი იყო ისიც, რომ რევაზ ძოძუაშვილის წყალობით, პირველ წრეში, 25 ქულა დავაგროვეთ და ნებისმიერი ვითარების მიუხედავად გავარდნა აღარ გვემუქრებოდა

"მთავარი პრობლემა ფინანსური სი-დუხჭირე გახლდათ. მინუსი კი ის იყო, რომ შექმნილმა ვითარებამ გუნდი ფსიქოლოგიურად გატეხა და ამან შედეგზეც ცუდად იმოქმედა.

ჩემპიონატის 6807F60

"ტორპედოდან" დავით გამეზარ-დაშვილს გამოვარჩევდი, რომელიც პირველ წრეში გუნდის ლიდერი იყო. მის გარდა ლაღაძე და გურული გამო-ირჩეოდნენ. კარგად ჩაატარა მეორე წრე ნიკა ნადირაძემ. მთლიანად ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებად კი დავით გამეზარდაშვილი, სანდრო იაშვილი, გიორგი სეთურიძე და თორნიკე აფციაური მიმაჩნია.



ᲛᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ



ტორპედომ უმაღლეს ლიგაში ადგილი რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით მოპოვებული ქულებით შეინარჩუნა

ക്നര്ക്കായന **ᲓᲐ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ**

"გულშემატკივრებთან მშვენიერი და-მოკიდებულება გვქონდა. ძალიან კარგად გაგვიგეს და ყოველთვის მხარში გვედგ-6ენ. ქუთაისში გამორჩეული ქომაგობა იციან. ფეხბურთი კარგად ესმით და გულშემატკივრობაც მაღალ დონეზე შეუძლიათ. ყოველთვის მომთხოვნები არიან, მაგრამ ისიც ესმით, რომ ასეთ მძიმე პირო ბებში მეტის მიღნევა შეუძლებელი იყო. სტადიონზე სულ მცირე 2000 კაცი მოდი-ოდა ყოველ მატჩზე, თუმცა გადაჭედილი სტადიონიც გვახსოვს და იმედია, ახლო მომავალში კვლავ გაიზრდება გულშემატკივართა რაოდენობა."

გემპიონატის **ფ**ന്റെ ഒടെ

"ვფიქრობ, საქართველოსთვის 10-12-გუნდიანი ჩემპიონატი სავსებით საკმარისი იქნება. ყოველ შემთხვევაში, 14-ზე ზე-მოთ გუნდების რაოდენობა არ უნდა გაიზარდოს. ჩვენთან ძალიან ცოტა წელგამართული გუნდია, დანარჩენებს ჩვენსავით წლიდან-წლამდე ძლივს გააქვთ თავი. რა აზრი აქვს, თუკი ჩემპიონატს კიდევ რამდენიმე გაჭირვებული გუნდი დაემა

ტება. ეს ჩემპიონატის დონის ამაღლებას ხელს ვერ შეუწყობს, პირიქით, განვითა-რებას დააბრკოლებს. პირველ რიგში, კლუბების ფინანსური მგდომარეობა უნდა გაუმჯობესდეს, თორემ ფორმატი რაც არ უნდა ვცვალოთ, დონე იგივე დარჩება.'

ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ 3നമ്പാരാരവ

"ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს და მათ გარჯას ძალიან ვაფასებ, მაგრამ **რევაზ ძოძუაშვილი** აუცილებ-ლად უნდა გამოვარჩიო. ის არის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რაშიც მასთან მუშაობის დროს კიდევ უფრო დავრწმუნდი. რევაზ ძოძუაშვილს **ლობა**ნოვსკის, ბესკოვისა და ახალკაცის გვერდით დავაყენებდი... ძლიერი მწვი ნელები არიან **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე**, რომლებმაც ქუთაისის "ტორპედოში" უდიდესი სამუშაო გასწიეს. გა-მოვარჩევდი "დინამოს" მწვრთნელებს დუშან უჰრინს და კახა კაჭარავას."

გაგეგი

"ნორმალური მსაჯობა იყო. არბიტრებზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. ვფიქ-რობ, ამ კუთხით საქმე ნელ-ნელა წინ მიდის. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ მსაჯობის დონე გაიზარდა.

გარ**იგეგულ**ი 0,508,996

"ჩემთვის გარიგებულ მატჩებში მოშორსაა ჩაწყობილი თამაშებისგან და კონკრეტული ფაქტების გარეშე სხვებ-საც ვერ დავადანაშაულებ."

გუნფის <u>მომავალი</u>

"ახლა ჰაერში ვართ გამოკიდებულ ნი. არავინ იცის რა მოხდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ქუთაისის "ტორპედო" არავითარ შემთხვევაში უპატრო-ნოდ არ დარჩეპა. წარმოუდგენელია, რომ "ტორპედომ" საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღოს. ეს ქართული ფეხბურთისთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება"

დავით პოხრეიძე

		-	4.00	
8	31	8 3	ns	١
	11 8	JM	n	
		PERSONAL PROPERTY.	CORNECT	

31.07.06

06.08.06

III 80AN Promagu

20.08.06 7 გოლეგი: კრასოვსკი, გურული

NACS VI

GUESAM 27.08.06 L გოლი: გამეზარდაშვილი

NAC6 V

6 30.00.00 四四つ გოლეგი: გამეზარდაშვილი, თ. უგრეხელი

NACS IV

NACEC

MACG IIV

23.09.06 a amaxman 2:1 გოლები: გამეზარდაშვილი, კრასოვსკი

NACS IIIV

14.10.06 8 0:0 LAMEN

IX 8JAII 21.10.06 L SyPOOU

გოლები: მუშკუდიანი (2), ნიქარიშვილი

ANCS X

29.10.06 8 **%3L&39M6N** 0:1

XI 8JAN

05.11.06 6 CMJMaM&N3N 3:0 გოლები: გამეზარდაშვილი, კრასოვსკი, მ. ღონღაძე

XII 8360

18.11.06 8 9347EU 3:1 გოლები: ზ. ჩხეტიანი, მ. ღონღაძე,

მუშკუდიანი

DACS IIIX

26.11.06 L menaan 0:1

0:1

0:1

0:2

BACS VIX

23. 02. 07 ሀ 3በፅ ጽጦሐ፠በን

NACS VX

KUPAUN 02.03.07 7 გოლეგი: იმედაძე (2)

NACE IVX Promagu 10.03.07 6

NAC6 IIVX

GUE79UA 17.03.07 7

NAC6 IIIVX 31.03.07 6 四四つ

IMES XIX

7.04.07 Jack 8

RACS XX

13.04.07 b በፀጣ%ሕጣሪ

გოლი: ქუთათელაძე

IMES IXX

21.04.07 b rumen

DACS IIXX

TOPOOL

27.04.07 7 2:1 გოლები: ქუთათელაძე, კირკიტაძე

NACS IIIXX

5.05.07 b %36%39M6N 0:2

NACS VIXX 12.05.07 7 CMJMamanan 1:3

გოლი: იმედაძე

NACS VXX


16.05.07 L 934760


NACS IVXX

MEZN33N 20.05.07 7

გოლები: ნადირაძე, ზივზივაძე

26 მატჩი, 9 მოგება, 4 ფრე, 13 ნაგება, ბურთები 24-35, 31 ქულა





მორატის ინტერს საქმე ცუდად აქვს

しょうをあっているいというという とうしょうしょう

9W9447266397i

ᲘᲜᲢᲔᲠᲘ, ᲛᲘᲚᲐᲜᲘ... ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲛᲞᲓᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲯᲘᲜᲐᲪ. ᲔᲭᲕᲔᲑᲘ ᲙᲝᲠᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲡᲞᲝᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲖᲔ

იტალიური საფეხბურთო ზაფხული მარტო ტრანსფერების გამო არ იქნება ცხელი. ეს ჩვეულებრივი, ყოველნლიური ამბავია. უკვე მეორე წელიწადია, კალჩოს ხმაურიანი სკანდალები ზაფრავს. შარშან იყო და, "იუვენტუსი" სერია B-ში გაუშვეს, ახლა კიდევ "მილანსა" და "ინტერს" ემუქრებათ "იმ ქვეყნად" გასტუმრება…

ძნელია ამის წარმოდგენა, მაგრამ იტალიაში საშიშროებას აშკარად ხედავენ. იქ ხუმრობენ კიდეც - დროა დავაპატენტოთ მეთოდი, თუ როგორ უნდა
ამაღლდეს დაბალი დივიზიონის (ამ
შემთხვევაში, სერია B-ს) პრესტიჟიო.
მართლაც და, "იუვეს" ფაქტორმა ქვედა ლიგაში დასწრების მაჩვენებელი იმ
დონემდე გაზარდა, რომ ლამის სერია
A-ს გაუტოლა. აქედან გამომდინარე,
გაიზარდა ტელეტრანსლაციათა გაყიდვით შემოსული თანხებიც... ხუმრობა იქით იყოს და, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ფინანსური მაქინაციების გამო
მარტო "ინტერი" და "მილანი" არ არიან
საფრთხის ქვეშ. "მარაქაში" "სამპდო-

რია" და "რეჯინაც" გაერივნენ... თუ შარშან "კალჩოპოლის" სკანდალის მთავარი მოქმედი პირები პროკურატურის გამომძიებლები იყვნენ, ახლა წინა პლანზე საფინანსო კონტროლის ორგანოები არიან. მათ გამოავლინეს მთელი რიგი დარღვევები 2005/06 წლე-ბის სეზონის სატრანსფერო დოკუმენ-ტებში, "მილანის" შემთხვევაში კი საუბარია 2003-05 წლებზეც. გუშინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა საინტერესო კომენტარი გააკეთა. ჯანკარლო აბეტე, გარკვეულნი-ლად, იცავს კლუბებს, როცა აცხადებს, რომ დღესდღეობით არც მაკონტროლებლებსა და არც ფედერაციას არ აქვთ ხელთ ის ბერკეტები, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, მოთამაშეთა სატრანსფერო ფასები ეკონტროაბეტე გამოდის ნიხადადებით, ამისთვის სპეციალური სტრუქტურაც შეიქმნას. მაგრამ ეს მომავლის საქმეა, და არც თუ იოლად მოსაგვარე-

ფინანსური შემონმება რუტინული პროცედურაა. გავიხსენოთ, რა მოხდა წლების წინათ, როცა მაკონტროლებ-ლებმა "რომასა" და "ნაპოლის" ოფისებს მიაკითხეს. იქ იყო დოკუმენტები გაყალბებული ხელმოწერებითა და, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო საბანკო გარანტიებით. მაშინ, "რომა" წყლიდან მშრალი ამოძვრა, "ნაპოლი" კი სერია C-ში მოისროლეს. სადღეისოდ, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. იტალიაში უკვე არის ნება, წარსულის მავნე

გადმონაშთისგან გათავისუფლებისა და შესაბამისად, ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც არ იქნება დანდობა დაგიმტკიცდა დანაშაული? ესე იგი, და-

მოკლედ, საქმის არსზე, მით უმეტეს, რომ გუშინ ქართულმა ტელეარხებმა ინფორმაცია დამახინჯებულად, ან მოკლედ რომ ვთქვათ, არასწორად გადასცეს. ლაპარაკია ახალგაზრდა მოთამაშეთა სატრანსფერო ფასების ხელოვნურ ანევაზე, რაც კლუბებს საშუალებას აძლევდა, ლიკვიდურობისა და ფინანსური ბრუნვის მაღალი დონე ეჩვენებინათ, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე. დიდი ფინანსური ბრუნვა კი იმის გარანტია იყო, რომ კლუბი უპრობლემოდ იღებდა სერია A-ს გათამაშებაში მონანილების უფლებას, ანუ, იძლეოდა ერთლიან დანასური ბარანიას.

ნილეობის უფლებას, ანუ, იძლეოდა ერ-თნლიან ფინანსურ გარანტიას... გაშ ასე, "მილანი", "ინტერი", "სამპ-დორია", "რეჯინა". მაგალითადო, ამბობს Covisoc-ს (ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც ფინანსური კუთხით მუშაობს - რედ) ერთ-ერთი წარმომად-გენელი, "ინტერს" გაყალბებული (გაბე-რილი) დოკუმენტაცია რომ არ წარმო-ედგინა, 2005/06 წლების ჩემპიონატში მონანილეობას ვერ მიიღებდაო. გარდა ახალგაზრდებზე სატრანსფერო ფასის აწევისა, "ინტერი" შემჩნეულია არსებული რეგლამენტის დარღვევაში, ბერნადო კორადისა ("მანჩესტერ სიტიში") და ერნან კრესპოს ("ჩელსიში") გაყიდვისას. საუბარია თანხაზე, რომელიც თითოეულ შემთხვევაში 10 მილიონ ევროს აჭარბებს. მასიმო მორატისაც, გასამართლებელ საბუთად მოჰყავს ის ფაქტი, რომ ფეხბურთელთა სატრანსფერო ფასების კონტროლი შეუძლებელი რამაა, რადგან თუ დღეს ერთი რომელიმე მოთამაშე 3 მილიონი ევრო ღირს, ორისამი თვის შემდეგ, შეიძლება, 12 მილიონი ღირდეს, ან საერთოდ აღარც ჰქონ-യ്വാ ത

ისევე, როგორც ერთი წლის წინათ, იგალიური პრესა ახლაც სერიოზულადაა დაკავებული სკანდალის დრამატიზებით. "ინტერი" სერია B-ში გავარდნით რისკავს" - წერს "ტუტოსპორტი", რომელიც ტურინული გაზეთია და "იუვენტუსის" ამბების გამო, ახლა ერთგვარი შურისძიების მიზეზი აქვს. "ინტერს" შტორმი ემუქრება" - ეს უკვე "კორიერე დელო სპორტის" "ჰედლაინია". "გაძეტა დელო სპორტი" კი დარწმუნებულია, რომ "ინტერი" და "მილანი" სასამართლოს ვერ გადაურჩებიან. მაგრამ თუ იგივე აბეტეს დავესესხებით, სასამართლო ყოველთვის არ ნიშნავს მძიმე განაჩენს. ვნახოთ...

35KLJ9965

33ULEUP 947357

ᲚᲐᲞᲝᲠᲢᲐᲛ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲘᲒᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲛᲘᲐᲮᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲒᲓᲐ...

"გარსელონას" სამხრეთ აფრიკაში ამხანაგური მატჩის ჩატარება ძალიან ძვირად დაუჯდა. კარლეს პუიოლმა და ედმილსონმა მძიმე ტრავმები მიიღეს. კატალონიური გრანდის პრესსამსახუ-რი გვამცნობს, რომ კაპიტნის გამოჯანმრთელებას სულ მცირე სამი თვე დასჭირდება. პუიოლი მომავალი სეზონის სადებიუტო მატჩებს დააკლდება. ედმილსონის შემთხვევაში კი საქმე უფრო სერიოზულადაა. კარლესის მსგავსად, მასაც მუხლის ჯვარედინი მყესები გა-უწყდა, თუმცა ექიმების თქმით, ბრაზილიელს რეაბილიტაციისთვის ხუთი-ექვსი თვე დასჭირდება. ჩიკი ბეგირისტაინი ბრაზილიელის გაყიდვის მიზნით, დაინტერესებულ კლუბებთან ინტენსიური მოლაპარაკებების დასაწყებად ემ-ზადებოდა. ბუნებრივია, ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. მძიმე ტრავმის მქონე ფეხბურთელის შეძენას არავინ ისურვებს.

პუიოლის ამბავმა დირექტორატი ცენტრალური მცველის შეძენის აუცილებლობაზე კიდევ უფრო სერიოზულად დააფიქრა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბეგირისტაინი კრისტიან კივუს მენეჯერებთან აპირებს შეხვედრას. ამის შემდეგ კი "რომას" მესვეურებსაც მოელაპარაკება. ინფორმაციამ იტალიური კლუბის ბოსების ყურამდეც მიაღნია. "ლა გაძეტა დელო სპორტის" თქმით, რომაელები რუმინელის გასხვისებას არ აპირებენ. სენიორ ჩიკის კი მიაჩნია, რომ სოლიდური თანხის გადახდით, ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შეძლება. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ თავად კივუ კარიერის "ბარსელონაში" გაგრძელების შესაძლებლობით მოხიბლული დარჩენილა. ამის შესახებ, კატალონიური გრანდის გენერალურ დირექტორს მცველის აგენტმა, იონ ბეკალიმ
პირადად მოახსენა. ტრანსფერის გაჩარხვის საქმეში კრისტიანს მნიშვნელოვანი

როლი დაეკისრება. "რომას" ხელმძღვანელებს მან კატეგორიულად უნდა მოსთხოვოს, რომ "ბარსაში" გაუშვან.

ამასობაში, ფრანკ რიიკარდმა ბოლო პრესკონფერენცია ჩაატარა და ჟურნალისტებს შვებულების დასრუ-ლებამდე დაემშვიდობა. "ბარსელონის" მთავარმა მწვრთნელმა დაშვებულ შეცდომებსა და სამომავლო გეგმებზე ისა-უბრა: *"დასანანია, რომ ფაქტობრივად*, განაღდებული საჩემპიონო ტიტული დავკარგეთ. მოდით, ვალიაროთ, რამდენიმე შეხვედრაში დიდი უპასუხისმგებლობა გამოვიჩინეთ და მადრიდის "რეალს" სოლიდური ჰანდიკაპის ამოქაჩვის შესაძლებლობა მივეცით. გული მწყდება, რომ ჩვენი რეალური შესაძლებლობები ვერ გამოვამჟღავნეთ. ახლა ისღა დაგვრჩენია, წარსული დავივიწყოთ და საქმეს უფრო სერიოზულად მოვეკიდოთ. ოფიციალურად ვადასტურებ, ძალიან მინდა სამუელ ეტოოსა და რონალდინიოსთან ერთად მუშაობა გავაგრძელო. ხოან ლაპორტამ პირობა მომცა, რომ მათ არ გაყიდის. აქვე ვიტყვი, გაისად შემადგენლობის ორ დაჯგუფებად დანაწევრებას არ დავუშვებ. ყველამ თავგანწირვით უნდა ივარჯიშოს და დისციპლინა დაიცვას. გვარებს არ დავასახელებ. არა მგონია, საჭირო იყოს. უბრალოდ, გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ 21 ივლისიდან შეუდარებლად მკაცრი გავხდები. გუნდს მთავარი მწვრთნელის რკინის ხელი დაეგყობა".

მართალია, რიიკაარდს რონალდინიო უდისციპლინობის კონტექსტში არ უხსენებია, მაგრამ ყველამ იცის, რომ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა გასულ სეზონში თავი აიგდო. მაშინ, როცა ჩავი, ინიესტა, ტურამი, ვან ბრონკჰორსტი და სხვები ვარჯიშით თავს იკლავდნენ, გაუჩო უსარგებლოდ ღლაბუცობდა. ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის შემდეგ, დირექტორატში უკმაყოფილოე-



კრისტიან კი

ბამ ერთი-ორად იმატა. ხოან ლაპორტას ინიციატივით, რონალდინიო საკუთარ ძმასთან ერთად, პრეზიდენტის კაბინეტ-ში მიიყვანეს. შეხვედრას ჩიკი ბეგირისტაინი, ფერან სორიანო და ფრანკ რიიკაარდიც ესწრებოდნენ. როგორც გაირკვა, ამ ადამიანებმა ყველაფერზე გულწრფელად ისაუბრეს. ლაპორტამ რონალდინიოს პირდაპირ უთხრა, კარგად იცი, საკუთარი ძმასავით მიყვარხარ და ძალიან გაფასებ, მაგრამ უნდა ალიარო, რომ წლეულს გულმოდგინედ არ ვარჯიშობდიო. რონალდინიოს შენიშენა არ ეწყინა. მან მორცხვად თავი დახარა და შეცდომები აღიარა. ბრაზილიელმა იქვე პირობა დადო, რომ პრეტემპორადაზე ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული იქნება და ახალი სეზონის დაწყების წინ ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს.

ილია 603 ოლა 0 შვილი



დევიდ ბექჰემი და ტომ კრუზი

ბრიტანული და ამერიკული გაზეთები იტყობინებიან, რომ დევიდ ბექჰემის მომავალ გუნდს, "ლოს ანჯელეს გალაქსის" ჰოლივუდის ვარსკვლავი ტომ კრუზი ყიდულობს, თანაც, კლუბის მფლობელებს თურმე ისეთი წინადადებით მიმართა, რომელზეც უარს ვერ იტყვიან. ჩვენი ბრიტანელი **空の空の 35 あの 37 とり 30 での 37 で**

ᲒᲝᲛ ᲙᲠᲣᲖᲘ ᲒᲐᲚᲐᲥᲡᲘᲡ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ?

ᲞᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲖᲔᲥᲰᲔᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ...

კოლეგების ცნობით, 44 წლის მსახიობს "გალაქსის" ყიდვა ძალიან უნდა. ირკვევა, რომ კრუზი მზადაა, გუნდი 80 მილიონ დოლარად შეიძინოს. ასეთი ცნობა "გალაქსის" ერთ-ერთმა ბოსმა გაავრცელა.

ის, რომ ტომ კრუზს ფეხბურთი ძალიან უყვარს, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია. როგორც ჩანს, მადრიდში სტუმრობის შემდეგ, სადაც კრუზი მეუღლე კვიტ ჰოლმსთან ერთად "რეალისა" და "მალიორკას" მატჩს დაესწრო, მერე კი ბექჰემთან ერთად მადრიდელთა ჩემპიონობა იზეიმა, ჰოლივუდის ვარსკვლავს ფეხბურთის სიყვარული კიდევ უფრო გაუმძაფრდა. ცნობილია, რომ მატჩის შემდეგ კრუზმა და ბექზმა ჩემპიონობა მეუღლეებითურთ ერთად აღნიშნეს. ისინი დიდი ხნის მეგობრები არიან. შეგახსენებთ, რომ ბექჰემი "გალაქსის" ივლისიდან მიაშურებს. ინგლისელს ამ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი წლიური ხელფასი 38.8 (!) მილიონ ევროს შეადგენს.

やいまりかりといっていることと

ფაგიო კაკელოს თითქოს პრობლემები აკლდა. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბის დამრიგებელს სამსახურის
დაკარგვის რეალური საფრთხე ემუქრება. იტალიელ სპეციალისტს "რეალის" ხელმძღვანელობა კონკრეტულ
პასუხს ჯერჯერობით, არ ეუბნება.
დაგვეთანხმებით, გაურკვევლობა ნერვების წყვეტასთანაა დაკავშირებული. დონ ფაბიოს სანერვიულო მართლაც არ აკლდა. ახლა კი მას არიგო საკი დაუპირისპირდა და სრულიად
უსინდისოდ განაცხადა, რომ კაპელო
ესპანეთში მუშაობისას მხოლოდ საშუალო შესაძლებლობების კლუბების ნინააღმდეგ აღწევდა წარმატებას. მად-

რიდული კლუბის დამრიგებელმა ვერ მოითმინა და მისთვის მიულებელი საფებბურთო მსოფლმხედველობის მქონე საკის საკმაოდ მკვახე პასუხი გასცა: "მისი კრიტიკა ჩემთვის კომპლიმენტია. არიგო ხომ ის მწვრთნელია, რომელსაც ორმა ესპანურმა კლუბმა გამოუჯახუნა კარი. რამდენიმე წლის წინათ საკი "აგლეტიკომ" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დიდი იმედით დანიშნა, მაგრამ ძალიან მალე მადლობის გარემე გააგდეს. შემდეგ "რეალის" გენერალური დირექტორის პოსტზე მიიწვიეს, მაგრამ ვერც ამ ამპლუაში გამოიჩინა თავი და კვლავ გაათავისუფლეს. უდავოა, რომ ამ შეუ-

რაცხმყოფელი ამბების შემდეგ საკი ჯერაც ვერ მოეგო გონს. მოკლედ, მისი მოსაზრებები ფეხებზე მკიდია. რაც უნდა, ის თქვას."

დაპირისპირება ამით არ ამოწურულა. პოლემიკა უკვე არიგო საკის პასუხით გაგრძელდა: "ყველამ იცის, რომ "რეალიდან" არავის გაკუგდივარ. მე ჩემით წამოვედი, რადგან უმაღლესი ხელისუფლებისგან განსხვავებული ხედვა მქონდა. რომელ გაძევებაზეა საუბარი, როცა მთავარი მწვრთნელის თანამდებობას მთავაზობდნენ. კაპელო განიწმატებულია, რადგან სამეფო კლუბის შეფებმა მისი მუშაობის ხარვეზები საქვეყნოდ გამოამზეურეს."

CIC

a63606050

nacete **JANJLMENL 839**m

BBC: ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲡᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

ს3ენ გორან ერიქსონის მოულოდნელი და-ნიშვნა "მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელად ალიქმება, როგორც აზიელთა პასუხი ამ პერსონის მიმართ გულგრილობაზე. ერიქსონი მოლაპარაკე-ბას აწარმოებს ზემოხსენებული კლუბის მომავალ მყიდველთან, ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტაქსინ შინვატრასთან და მის გავლენიან მრჩეველ კიტ ჰერისთან. "სიტის" ამჟამინდელ ხელმძღვანელობას უფრო მეტად აწყობს "სევილიის" თავკაცი ხუანდე რამოსი, რომელიც, როგორც ჩანს, დაინტერესებულია სტიუარტ პირ-სისგან მემკვიდრეობის მიღებით. აქ ისმის კითხვა: თუ რამოსის, სევილიური გუნდის ნამდვილი შემოქმედის მიწვევა ჩაიშალა, ვინლა აალორძინებს "სიტის"? ნუთუ ერიქსონი ამ გუნდისთვის ბოლო

"სიტის" ახალი მფლობელებისგან ერიქსონის არჩევა უცნაურად ჩანს. მას ვერ გაუთანაბრებ ისეთ პერსონას, როგორიცაა ჟერარ ულიე. რამდენიმე კვირის წინათ ამ უკანასკნელს შვედ სპეციალისტთან შედარებით დიდი უპირატესობა გააჩნდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი სამწვრთნელო კარიერა დასასრულს უახლოვდება. შესაძლოა, ში-ნავატრას ბანაკმა ყურად იღოს "სიტის" ახლანდელ ხელმძღვანელთა, ანუ იმ ადამიანთა რჩევები, რომელთაც მთელი გულით სურთ გუნდში მდგო-მარეობის გამოსწორება, და არ დაუჯეროს ტაი-ლანდელი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს. მათი მხრივ, ეს ჭკვიანური ნაბიჯი იქნება.


რაც შეეხება ერიქსონს, ის ვერ გრძნობს თავს კომფორტულად ახალი მწერთნელის პოზიციაზე, რადგან "სიტის" ახლანდელმა მესვეურებმა კლუბის საუცხოო აკადემიის დირექტორად "თავიანთი" კაცი დანიშნეს და, როგორც ფიქრობენ, შე-საძლოა, მის საქმეში ჩარევის ფაქტებიც დაფიქ-

სირდეს ერიქსონს წარმატებული კარიერა ჰქონდა "გი-ოტებორგში", "ბენფიკაში", "რომაში", "სამპდორი-ასა" და "ლაციოში". მაგრამ საკითხავია, გამოდგება თუ არა ის თანამედროვე გუნდის არქიტექტო-რად? გაეკარებოდა ერიქსონი "სიტის", თუ იქ უზარმაზარ სატრანსფერო თანხას არ შეპირდე-ბოდნენ? იმუშავებს კი 60 წელს მიღწეული ერიქსონი კვლავ ისეთ დონეზე, რომ ხელახლა შექმნას თავის დროზე, ინგლისის ნაკრების მწვრთნელად მუშაობისას, ერიქსონს არაერთხელ შეუყენეს წყალი. სულ ბოლოს, შარშანდელ მუნდიალზე, მისი გუნდის გამოსვლამ მკვეთრად უარყოფითი შთაბეჭდილება დატოვა. არც თავად შვედი სპეციალისტი ჩანდა მთლად დალხენილი. გუნდი არეულობა იყო, მისი ინგლისი სასაცილო ტაქტი-კით თამაშობდა. შეცდომები იყო შეცვლებშიც, რასაც საბოლოოდ ფიასკო მოჰყვა. ტაქტიკის არ იყოს, თავად ერიქსონიც სასაცილოდ, ძალაგამოცლილ კაცად გამოიყურებოდა. არც არავინ იყო, ვისაც შეეძლო მის გვერდში დგომა, როცა საფეხ-

ბურთო ასოციაციამ ის თანამდებობიდან მოხსნა. ინგლისში მოღვაწეობისას, ერიქსონს ფარული შეხვედრა ჰქონდა "ჩელსის" ხელმძღვანელობასთან, რაც ინგლისური ფეხბურთის მამებისთვის ახალ, სარფიან გარიგებად აღიქმებოდა. ერიქსონი ყოველთვის მედიის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული და, ალბათ, ასევე იქნება მომავალშიც. "მანჩესტერ სიტისა" და მისი პირადი ინტერესები, წესით, უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, ყველაფრის მიუხედავად. თუმცა... თუმცა აიტანს კი "სიტი" **კე**ვინ კიგანის მსგავსად კიდევ ერთ გულმოკლულ მწვრთნელს?

ტაილანდელი ექსპრემიერისთვის, მოლაპარა-კების პროცესი ნამდვილი ჯოჯოხეთი იქნება. ერიქსონს, შეიძლება, პასუხად ჰქონდეს საკლუბო დონეზე მიღებული საკმაო გამოცდილება, მაგრამ ტაქსინი და მისი თანამებრძოლები, ალბათ, ათასჯერ გაზომავენ, სანამ ერთხელ გაჭრიან.

> დავით ჩუგინიძე BBC-06 908393001





რᲝᲒᲝᲠᲪ მოსალოდნელი იყო, "შალკემ" ბრაზილიელი ფლეიმეიქერი **ლინკოლნი** "გალათასარაის" მიჰყიდა. **ლე**ვან კობიაშვილის გუნდის შეფებმა ეს ინფორმაცია გუშინ დაადასტურეს. "დიახ, კონტრაქტი გამზადებულია. თურქული გუნდის ხელმძღვანელებს თანხმობა განვუცხადეთ. ერთი სიტყვით, ტრანსფერი გადაწყვეტილია: ლინკოლნი "გალათასარაიში" გადადის," - განაცხადა "შალკეს" გენე-რალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა**. ცნობილი გახრომ გელზენკირხენული კლუბი თურქეთის 14-გზის ჩემპიონისგან 5 მილიონ ევროს მიიღებს. როგორც იცით, "შალკე" თავიდან 8 მილიონს ითხოვდა, თურქები კი მხო-ლოდ 3 მილიონის გადახდაზე იყვნენ ყაპულს. როგორც ხეᲨᲐᲚᲙᲔ. ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ

™n6JM=5N **5**330@3. MANANKN ananes

გრაზილიელმა გალათასარაის ᲛᲘᲐᲨᲣᲠᲐ, ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ **ᲒᲐᲖᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ...**

დავთ, მხარეები საბოლოოდ 5 მილიონზე შეთანხმდნენ. გარკვეულია ისიც, რომ ლინკოლნის წლიური ხელფასი "გა-ლათასარაიში" 2.5 მილიონი ევრო იქნება. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა "ფლეიმეიქერმა" "შალკეს" მაისურით ბუნდესლიგაში 83 თამაში ჩაატარა და 20 გოლი გაიტანა.

კობიაშვილის გუნდმა ლინკოლნის შემცვლელი უკვე იპოვა და გადაიბირა. ამას წინათაც გაცნობეთ, რომ "შალკეს" "ბაზელის" 19 წლის ფლეიმეიქერის, ივან რაკიტიჩის ყიდვა სურდა. ახლა კი შეგვიძლია გამცნოთ, რომ რაკიტიჩი უკვე შალკელია - შვეიცარიელმა ტალან-ტმა გელზენკირხენულ გუნდში გუშინ სამედიცინო შე-მოწმება გაიარა, რის შემდეგაც ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შეცვლის თუ არა ეს უკანასკნელი ლინ-კოლნს ღირსეულად, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ივან რაკიტიჩი უდიდესი ტალანტია, თავდასხმაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ტექნიკურია, აქვს კარგი პასი და მოედნის ხედვა, სწრაფია და თანაც, ორივე ფეხით კარგად თამაშობს. ერთი სიტყვით, რაკიტიჩი ძალი-ან გაგვაძლიერებს. რაკი მან ასეთ ასაკში "ბაზელში" ადგილი დაიმკვიდრა, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ჩამოყალიბებული ფეხპურთელია," - ეს "შალკეს" მთავარი მწვრთნელის მირკო სლომკას სიტყვებია. რაკიტიჩმა შვეიცარიის ჩემპიონატში 33 შეხვედრა ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა. გელ-ზენკირხენელთა მომდევნო სამიზნე "ვერდერის" საყრდენი ნახევარმცველი, "მაინციდან" დ აბრუნებული ლეონ ანდრეასენია, რომელმაც ბუნდესლიგის მეორე წრე უმაღლეს დონეზე ჩაატარა.

306383 所用369四月 LOONER OF THE LONG OF THE LONG

ଅଜ୍ଞରଙ୍ଗର ଅଧିକ୍ରଥର ଖ୍ରნეჯერი **კრისტოფ მაგუი** გვ-არწმუნებს, რომ მის კლიენტს "სევილიის" დატოვება და კარიერის ინგლისში გაგრძელება სურს. როგორც ირკვევა, პრიმერა დივიზიონის ერთპრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს "წიუკასლი", "პორტსმუთი" და "ბოლტონი" ეპატიჟებიან. ობიექტურად თუ ვიმსჯე-ლებთ,-ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "სევილია" გაცი-ლებით უფრო მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ ბატონი კრისგოფის მტკიცებით, ბრიტანეთში კანუტეს გაცილებით მეტი ფულის შოვნის შესაძლებლობა ექნება. ანდალუსი-ელები სატრანსფერო თანხად 10 მილიონ ევროს ასახელებენ. ექსპერტების ვარაუდით, ჩამოთვლილი ინგლისური კლუბები ამ თანხას სიამოვნებით გადაიხდიან. ამასობაში, ანდალუსიელებს "პარი სენ ჟერმენიდან" **დავიდ როზენა**ლის გადაბირების სურვილი გაუჩნდათ. ჩები მცველი თა-ნახმაა, "სევილიას" დღესვე შეუერთდეს, თუმცა საქმის მოგვარებას ფრანგული კლუ-ბის თანხმობა სჭირდება. მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტი **დელ ნიდო** პარიზს პირადად გაემგზავრება და მო-ლაპარაკებათა გადამწყვეტ რაუნდს გამართავს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲛᲞᲣᲚᲡᲘ Մգսեր

ᲡᲞᲐᲚᲔᲢᲘ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

"ᲒᲐᲫᲔᲢᲐ ᲓᲔᲚᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲗᲐᲜ" ინტერვიუში "რომას' თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ გასული სეზონი შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. სატრანსფერი ბაზარზე "ჯალოროსი" არც ისე აქტიურია. ჯერჯერობით, კლუბმა ფრანგი ნახევარმცველი ჟულიენ ფობერი და ბრაზილიელი მცველი ჟუანი იყიდა, ამას გარდა, "ინტერისგან" ლიანი უფლება მიიღო ნახევარმცველ დავიდ პისაროს ტრანსფერზე. თუმცა ფანჯრის დახურვამდე დიდი დროა და "რომა", ალბათ, გაძლიერდება. ახლა, ლუჩანო სპალეტის მთავარი ამოცანა კრისტიან კივუს შენარჩუნებაა, რომელიც თითქოს "ინტერში" უნდა გადასულიყო, მაგრამ არაა გამორიცხული, რუმინელი მაინც "რომაში" დარჩეს. მოკლედ, თქვენ წინაშეა "ჯალოროსის" მწვრთნელი...

- როგორ შეაფასებდით ახალი სერია A-ს კონტურებს?

- ჩვენ ვუბრუნდებით იმ დროს, როცა დიდი ფეხბურთის ისტორია იწერებოდა. გრანდები კვლავ წინა პლანზე არიან. ვფიქრობ, ზოგიერთი კლუბის ტრადიციაც შეუწყობს ხელს იმას, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა უფრო თვალნარმტაცი იყოს, ვიდრე გასულ სეზონში. ჩვენი მთავარი ამოცანა ტრიბუნებზე ტი-ფოზების დაბრუნება უნდა იყოს. - მოდით, "რომაზე" ვისაუბროთ. გეშინოდათ, რომ პისაროს ხელი-

დან გაუშვებდით? არა. იმიტომ, რომ ამასწინათ

როზელა სენსის ვესაუბრე და მივხვდი, რომ პისაროსთან დაკავშირებით

კალიარის" პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ თქვა, "რომას" და-

მოლაპარაკებები წარმატებული ფი-ნიშისკენ მიდიოდა. ამიტომაც არ


ვიდ სუასოს ყიდვის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ კორექტულად მოქმედებდა, ეს შანსი ხელიდან გაუშვაო. გამოდის, რომ "მილანი", ასე ვთქვათ, ცუდად მოიქცა?

- ამაზე პასუხი, ალბათ, კლუბის ხელმძღვანელობამ უნდა გაგცეთ. სუასომ არჩევანი უკვე გააკეთა და მოდით, აქ დავსვათ წერტილი.
- კივუსთან კონტრაქტის გაგრძელება პრობლემად იქცა. რატომ?

ჩემთვის სიტუაცია უბრალო და მარტივია. თუ მას წასვლა უნდა, არ არის პრობლემა, მაგრამ აქვე შევახ-სენებ, რომ "რომამაც" არანაკლებ მაცდუნებელი წინადადებით მიმარ-თა. თუ მასში იმ ფასს არ გადაიხდიან, რასაც ჩვენ ვითხოვთ, მაშინ ვიტოვებთ უფლებას, კიდევ ერთი წლით დავტოვოთ "რომაში" და თან იმედი ვიქონიოთ, რომ საქმეს ჩვეული პროფესიონალიზმით მიუდგება კივუ და პისარო ჩვენი მოთამაშეები არიან, "რომას" სხვა ფეხბურთელე-ბიც მოსწონს ბევრ კლუბს, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ ისინი აქ დარჩ-ნენ. თუ ჩვენი მიზანია, რომ მინიმუმ შარშანდელი წარმატება გავიმეო-როთ, ამ შემადგენლობის შენარჩუნება უბრალოდ აუცილებელია. არ ვიცი, დარჩება თუ არა კივუ, მაგრამ ჩემი სიტყვები მარტო მას არ ეხება. სხვათა შორის, მას ტელეფონით ვე-საუბრე და დამარწმუნა, რომ "რო-მას" მოთამაშეა და კლუბის განკარგულებაში რჩება. ვნახოთ...

რა პერსპექტივა აქვს ვუჩი

მირკო "რომაში" დარჩება. ტოტის შემდეგ ის მეორე ცენტრალური თავდამსხმელი იქნება. არ დაგიმა-



ბი არიან

ლავთ, რომ ვუჩინიჩზე რამდენიმე კლუბმა მოგვმართა წინადადებით, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრეთ. მიუხედავად იმისა, რომ კვალიარელა ძალიან საინტერესო ფორვარდია, ახალი თავდამსხმელის ყიდვას არ ვაპირებთ. ჩვენ უფრო ფლანგის მოთამაშეები გვჭირდება, ისინი, ვინც ტავანოსა და ვილჰელმსონის ადგილებს დაიკავებენ. ფობერი კარგი ბიჭია, მომწონს აგრეთვე კეიტა, სისინიო, რობინიო, დიარა და ბევრი სხვა. - ...მაგრამ სერია B-დან პარუსო

ნამოიყვანეთ..

- ეს არის ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშე შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებით. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი საიმისოდ, რათა "რომას" დღევანდელ მოთხოვ-ნებს უპასუხოს. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით. საკმაოდ მოკრძალებული თანხა ჩავდეთ პერსპექტიულ მოთამაშეში... ძალიანაც კარგი. ახლა, მთავარია, მას ის მოთხოვნები არ ნავუყენოთ, რისი შესრულების უნარი ექნება და რამაც, შეიძლება,

ზრდაში შეუშალოს ხელი.
- როგორ ფიქრობთ, რანიერი
"იუვენტუსისთვის" სწორი არჩევანია?

- რანიერის დიდ პატივს ვცემ, როგორც გამოცდილ, მცოდნე სპეციალისტსა და ასევე, როგორც პიროვნებას. მას სხვადასხვა ქვეყანაში უმუშავია. დიახ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ "იუვე" არ შემცდარა.

- კამორანეზისა და ტრეზეგეს "იუვენტუსთან" კონფლიქტი აქვთ. შეიძლება, ისინი "რომას" ინტერე-სებში აღმოჩნდნენ?

მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ისინი ძალიან კარგი მოთამაშეე-

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ სატ-რანსფერო ბაზარზე პასიურობთ?

ამ პერიოდში ჩვენ ყველაზე მეტს მუშაობთ ხოლმე, მხედველობაში მაქვს საწვრთნელი პროცესი. სხვა საქმით ზედმეტად გართობას მხო-ლოდ ის მოაქვს, რომ პრობლემები გვექმნება უშუალოდ სეზონის მსვლელობისას. ეს კი ძალიან არ გვინდა.

- რას იტყოდით ჟუანზე?

- ძალიან კარგი ფეხბურთელია. - როგორ ფიქრობთ, შესწევს "რომას" სკუდეტოს მოგების ძაms?

- სამწუხაროდ, ყველა ტურნირს ერთი გამარჯვებული ჰყავს. "რო-მამ" მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, მოიგო იტალიის თასი, მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის საგზური... მომავალ სეზონში რეალურად დავინა-ხავთ ჩვენს ძალას. ამასთან, უნდა ვეცადოთ და როგორმე სტაბილურობას მივაღწიოთ, თან თამაშის დონეც ავიმაღლოთ. გასულ სეზონში, შედეგების გარდა, თამაშის ხარისხმაც დამაკმაყოფილა. გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობდა და ამან ტიფოზებს მომავლის იმედი ჩაუსახა. მართალია, ჩვენ ვისარგებლეთ იმით, რომ "მილანს" ქულები ჩამოაჭრეს, მაგრამ თუ შევადარებთ შარშანდელ ფინიშს, აშკარაა, რომ "როსონერისთან" ჩამორჩენა შევამცირეთ. ახლა, ჩვენს პროექტს ახალი იმპულსი სჭირდება, თუმცა ბოლო სეზონის შედეგებს თუ გავიმეორებთ, ამითიც კმაყოფილი დავრჩები.



ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

76690 74 3667W 77U342UF 37E39F

ᲛᲣᲜᲓᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ

მიროსლავ კლოზე ჯერ კიდევ "ვერდერს" ეკუთვნის. აგერ უკვე სამი კვირაა, რაც ბრემენულ კლუბსა და "ბაიერნს" შორის მოლაპარაკებები აღარ გამართულა. მიუხედავად ამისა, საქმეს მაინც ისეთი პირი უჩანს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, რომელსაც მუნდიალზე შესანინავად გამოსფლის შემდეგ ცუდი სეზონი ჰქონდა, კარიერას მიუნხენურ კლუბში გააგრძელებს. მაგრამ რეკორდმაისტერის ფანებს რომ ჰკითხოთ, მათი სურვილია, რომ კლოზე ბრემენში დარჩეს, თუნდაც სამუდამოდ...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლოზე, დღესდღეობით, კატასტროფულ სიტუაციაშია. ამაზე ცუდად მას საქმე არასდროს ჰქონია. დავიწყოთ იმით, რომ "ვერდერის" გულშემატკივ-რებმა ისე აითვალწუნეს, რომ მისი დანახვაც აღარ სურთ. შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის ბოლო ტურებში "ვეზერ-შტადიონის" ტრიბუნებზე ასეთი შინაარსის ტრანსფარანტები იყო გამოკრული: "რიგითო თერთმეტო, ახლავე მოგ-ვშორდი!" "კლოზეს ნაცვლად გვინდა ფული!" "ვერდერში" "პაიერნის" ფანის აღგილი არ არის!"

ბრემენული კლუბი "ბაიერნს" არ ნებდება - "მუსიკოსები" გერმანიის ნაკ-რების 29 წლის ფორვარდის სანაცვ-ლოდ კვლავინდებურად 15 მილიონ ევ-როს ან ლუკას პოდოლსკის ითხოვენ, რეკორდმაისტერი კი 10 მილიონს ფეხს არ უცვლის, მიროს პოლდიში გაცვლაზე ხომ საერთოდ, ლაპარაკიც ზედმეტია. ამ ყველაფერს თან ისიც დაემატა, რომ კლოზე "ბაიერნის" გულშემატკივ-რებსაც არ სურთ!

მიუნხენური გიგანტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.fcb.de) გამოკითხვა ჩატარდა. კითხვა ასე უღერდა: კლოზე თუ მაკაი? როგორც იცით, გადაწყვეტილია, რომ თუ ბავარიელები მიროს ახლავე შეიძენენ, მაშინ როი მაკაი გუნდს დატოვებს (პოლანდიელმა ასე ისურვა). გამოკითხულთა 36 პროცენტი ასეთი აზრისაა: "კლოზე არ გეჭირდება. მაკაი უნდა დარჩეს და კონტ შემდეგს ამბობს: "კლოზე გაისად უნდა გადმოვიდეს, ახლავე არ გვჭირდება!" 21 პროცენტი: "კლოზეც უნდა გადმოვიდეს და მაკაის უნდა გადმოვიდეს და მაკაის უნდა დარჩეს" (თუმცა ასეთი ვარიანტი გამორიცხულია). ხოლო ვარიანტს, "ოლონდ კლოზე მოვიდეს და მაკაის

თავში ქვა უხლია", მხოლოდ და მხოლოდ, 9 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

"ასეთი შედეგით აღფრთოვანებულები ვართ," - ამბობს მაკაის მრჩეველი
რობ იანსენი და იქვე დასძენს, - "როი
მიუნხენში თავს შესანიშნავად გრძნობს
და ეს არაერთხელ უთქვამს. მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი კი ხელმძღვანელების გადასაწყვეტია. ეს იმაზეა
დამოკიდებული, შეიძენს თუ არა "ბაიერნი" კლოზეს. თუ მიროს იყიდიან, მაკაი წავა, რადგან მას სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩენა არ უნდა."

"სამი კვირაა, მიუნხენელთაგან არაფერი გვსმენია, როგორც ჩანს, ისინი პირველი წინადადების გაუმჯობესებას არ აპირებენ," - აცხადებს "ვერდერის" მენეჯერი კლაუს ალოფსი. საინტერესოა, გაითვალისწინებენ თუ არა ბავარიული გიგანტის მენეჯერი ული პიონესი და ვიცე-პრეზიდენტი კარლ-პაინც რუმენიგე ზემოთ მოყვანილი გამოკითხვის შედეგებს, სადაც გულშემატკივართა უმრავლესობა კლოზეს სასწრაფო ტრანსფერს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. აქვე შემოგთავაზებთ "ბაიერნის" რამდენიმე ქომაგის მოსაზრებას, რასაც მიუნხენური კლუ-



მიროსლავ კლოზე

ბის ოფიციალურ ფორუმზე, თემაში "კლოზე თუ მაკაი" მივაგენით:

"კლოზეს სანაცვლოდ გადახდილი თითოეული ევრო წყალში გადაყრილი ფულია. როი მაკაი უნდა შევინარჩუ- ნოთ. მეტიც, მას კონტრაქტი 2010 წლამდე უნდა გაეუგრძელოთ, მერე კი დიდი პატივისცემით გავაცილოთ მიუნ- ხენიდან. კლოზე მაკაის არასდროს სჯობდა და არც ახლა სჯობია!"

"ერთი წლის წინათ, კლოზეს მიმართ უდიდესი სიმპათიებით ვიყავი განწყობილი, მაგრამ ახლა აბსოლუტურად საპირისპირო მოსაზრება მაქვს. სანამ "იუვენტუსისა" და "ბარსელონის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში ფიგურირებდა, "ბაიერნში" გადმოსვლა არ უნდოდა, ჩვენს გუნდს თითქოს არ კადრულობდა. ახლა კი, როცა საშინელი სეზონი ჩაატარა და "იუვე" და "ბარსა" დააფრთხო და როცა "ვერდერშიც" აღარ დაედგომება, უცებ "ბაიერნი" მოუნდა. მიროს "რამსები აერია", ჩვენ ასეთი ფეხბურთელი არ გვჭირდება!"

"პოდოლსკის კლოზეში იმ შემთხვევაშიც კი არ გავცვლიდი, "ვერდერმა" კიდევ 10 მილიონი რომ დაგვიმატოს. დარჩეს იქ, სადაც არის, არ გვჭირდე-

გოტფრიდ ლენცი

താട്ടെറ

ᲗᲣ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ ᲡᲐᲜ ᲡᲘᲠᲝᲖᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ, ᲙᲐᲚᲓᲔᲠᲝᲜᲘ ᲠᲝᲑᲔᲜᲡ, ᲤᲐᲒᲠᲔᲒᲐᲡᲡ, ᲛᲐᲜᲡᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲐᲚᲕᲔᲨᲡ ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ...

ბუშინ **რამონ კალდერონმა** ესპანეთის ტელევიზიის დილის გადაცემაში სამეფო კლუბის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მადრიდული გრანდის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პრედრაგ მიატოვიჩთან ერთად გუნდის აღორძინე-გაზე იზრუნებს: "ჩვენ "ბერნაბეუზე" სული და ატმოსფერო უნდა დავაბრუნოთ, რომელმაც ჩემპიონთა თასი ცხრაჯერ მოგვიტანა. დირექტორატს მნიშვნელოვანი პროექტი აქვს შემუშავებული. პროექტი, რომელიც რამდენიმე წელინადზეა გათვლილი. მიგვაჩნია, რომ შემადგენლობა საგრძნობლად უნ-და გაახალგაზრდავდეს. როგორც ყოველთვის, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებიც თავგანწირვით, მაღალი დონითა და პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. ჩემთვის, როგორც პრეზიდენტისთ-ვის "გალაქტიკოს" მცნება მიულებელია. ხელმძღვანელობა სწორედ ისე მუ შაობს, რომ უკლებლივ ყველა მოთამაშე თანასწროუფლებიანი იყოს. ყველას ერთნაირი მოვალეობა უნდა გააჩნდეს". დილის გადაცემის წამყვანი "რეა-

ლის" პრიორიტეტული ტრანსფერებით დაინტერესდა. საყოველთაოდ ცნობი-ლია, რომ კალდერონი ხელისუფლებაში კაკას შეძენის პირობით მივიდა. თუმცა პრეზიდენტმა სიტყვა ვერ შეას-რულა. სენიორ რამონმა წარუმატებლობა ფლორენტინო პერესის მუხანათობას დააბრალა. ის ამტკიცებდა, რომ ყოფილი პრეზიდენტი პირადად სილ-ვიო ბერლუსკონის დაუკავშირდა და სთხოვა, კაკა არავითარ შემთხვევაში არ გაეყიდა. ფლორენტინომ ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, ბოდვა და სიგიჟე უწოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირობის შეუსრულებლობამ კალ-დერონის ავტორიტეტი მიწასთან გაასწორა. ახალ პრეზიდენტს კრიტიკოსები ფაქტობრივად, მუშაობის პირველივე დღიდან დაესხნენ თავს. ის იძულებული იყო, თავი ემართლებინა და საზოგადოებისთვის ეთქვა, რომ კაკას შეძენას იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე შეეცდებოდა. ბატონმა ხუან რამონმა საწადელს წლის დასაწყისშიც ვერ მიაღნია. ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ბრაზილიელის გადაბირება ახლაც შეუძლებელი იქნება. "მილანის" მესვეურები პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს თვალისჩინივით უფრთხილდებიან. მიუხედავად ამისა, გულ-შემატკივრებს აღნიშნული არგუმენ-



ტის მოსმენაც კი არ სურთ. ისინი სწორხაზოვნად უდგებიან საკითხს და კალ-დერონს ეუბნებიან, ყველაფერი წინასწარ უნდა გაგეთვალა, თუ დაგვპირდი, გააკეთე კიდეც. ან კაკას ჩამოიყვან, ან გადადგები! საგულისხმოა, რომ ამ სუ-ლისკვეთებით ინჩასების არც ისე მცირე ნაწილია გამსჭვალული. კალდერონ-საც ისღა დარჩენია, თემის უტრირება განაგრძოს და ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს კაკაზე ფიქრით იძი-ნებს და იღვიძებს: *"კაკას შეძენაზე ერ*თი წამითაც არ გვითქვამს უარი. ის დღესაც ჩვენი სამიზნეა. თანამედროვე სატრანსფერო ბაზარი რთული და სპე-ციფიკურია. გასაკვირი არ არის, რომ ყველა გუნდი საუკეთესო მოთამაშეებს იცავს და ყველაფერს აკეთებს იმისთ-ვის, რომ სხვებმა არ წაიყვანონ. განა ჩვენც ასე არ ვართ? დღეს რომ ვინმე მოვიდეს და მითხრათ, რუუდ ვან ნის-ტელროი მოგვეციო, კაბინეტიდან გა-ვაგდებ. "მილანი" მოლაპარაეებებზე არ მოდის. ეს საქმეს ერთიორად ართულებს, მაგრამ იმედი არ უნდა დავკაროთ. მნიშვნელოვანი თავად კაკამ დაინახოს, რომ სამეფო კლუბი იმ ღირებულებებსა და სულისკვეთებას იბრუნებს, რომლის წყალობითაც მეოცე საუკუნის საუკეთესო კლუბად აღიარეს. თუ ბრაზილიელი ჩვენთან წამოსვლას ისურვებს, "მილანი" იძულებული გახდება, მოგველაპარაკოს და კაკას გაყიდვაზე სერიოზულად დაფიქრდეს. მიმაჩნია, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ. როგორც ვიცი, კაკას სამეფო კლუბი ძალიან მოსწონს. ამას წინათ, რობინიოს ესაუბრა და გამოუტყდა, ზოგჯერ შენი მშურსო. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები".

"რეალის" სოსიოები უკმაყოფილებას არ მალავენ. მათ გუნდის განვითა-რების დინამიკა არ მოსწონთ და მიაჩნიათ, რომ ბევრი რამ ქაოსურად ხდება. დღითიდღე იმატებს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს მოითხოვენ. ამ მოსაზრებას "რეალზე" თავგადაკლული მადრიდული გაზეთებიც იტაცებენ და მძლავრ პროპაგანდას აწარმოებენ. კალდერონი, ჯერჯერობით, მედგრად დგას და რიგგარეშე არჩევნებზე საუბრის გაგონებაც არ სურს: "ხომ არ გეჩვენებათ, რომ არჩევნების თება წინა პლანზე უკმაყოფილო სოსიოების უმცირესმა ჯგუფმა წამონია. ჩვენი გუნდის საზოგადოების წევრებთან პრაქტიკულად, ყოველდღიური ურთიერ-თობა მაქვს. ისინი მხარში მიდგანან და მპირდებიან, რომ საჭიროების შემთხვევაში, ყოველმხრივ დამეხმარებიან. რა თქმა უნდა, ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ რიგგარეშე არჩევნებს სოსიოების ხუთი პროცენტი ითხოვს. თუ დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, იქნებ ვინმემ მითხრას, 95-მა პროცენტმა 5 პროცენტის ჭკუაზე რატომ უნდა იაროს. ყველას ვურჩევ, რიგგარეშე არჩევნები დაივიწყოს. ეს გამორიცხულია. კიდევ ახალი დაძაბულობა გუნდს სიკეთეს არ მოუგანს. შეუძლებელია, ერთ წელიწადში სასწაულებს მიაღნიო. მით უმეგეს, ჩემმა წარმაგებას უკვე მიაღნია. ეს-ესაა ესპანეთის ჩემპიონები გავხდით. ამ გიგულს ინჩადა ზუსგად ოთხი

წელი ელოდა

ბუნებრივია, დილის გადაცემა მთავარ მწვრთნელზე საუბრის გარეშე არ ჩაივლიდა. წამყვანები დაინტერესდნენ და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე იკითხეს, შეინარჩუნებს თუ არა ფაბიო კაპელო თანამდებობას კალდერონმა ჟურნალისტებს დიპლომატიურად უპასუხა: "რატომლაც, ყველას ჰგონია, რომ სენიორ კაპელო მტრად გავიხადეთ, ეს დიდი სისულელეა. ჩვენ მას დიდად ვაფასებთ. ფაბიომ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა - ჩვენ ჩემპიონები გავხდით. მაგრამ უკვე რამდენ-ჯერმე განვაცხადეთ, მთავარი მწვრთნელის შესახებ მომავალი კვირის ბოლომდე არ ვისაუბრებთ. ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ გვაქვს, ვინ იმუშავებს ამ თანამდებობაზე. ყველას ვთხოვ, ცოტაც მოითმინოს."

გადაცემის მიწურულს წამყვანები სატრანსფერო თემას მიუბრუნდნენ. გაირკვა, იმ შემთხვევაში, თუ კაკას ხელში ვერ ჩაიგდებენ, ალტერნატიულ ვარიანტებზე იმუშავებენ. კერძოდ, მიატოვიჩი ერთბაშად დანიელ ალვეშის, სესკ ფაბრეგასის, არიენ რობენისა და ამანტინო მანსინის მენეჯერებთან გა-

მართავს მალაპარაკებას. აღსანიშნავია, რომ მანსინის გადაბირება ფაბიო
კაპელომ ჯერ კიდევ გასული სეზონის
დაწყებამდე მოითხოვა, მაგრამ იტალიელის ღაღადს არავინ მიაქცია ყურადღება. ბრაზილიელ მცველს ახლა
"ლივერპულიც" ეპატიჟება. სხვათა შორის, "რომამ" ეს-ესაა "წითელი ეშმაკების" მიერ შეთავაზებულ 21 მილიონ ევროზე უარი განაცხადა და მოლაპარაკება ჩაშალა. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ
სამეფო კლუბს მანსინის ხელში ჩასაგდებად მინიმუმ 25 მილიონი ევროს გამზადება მოუწევს.

დანიელ ალვეშს "სევილია" 60 მილიონ ევროდ აფასებს. ცხადია, ამხელა თანხას არავინ გადაიხდის. ანდალუსიური კლუბის პრეზიდენტს, უბრალოდ, იმის ხაზგასმა სურს, რომ ალვეში არ იყიდება. მიუხედავად ამისა,
კალდერონი დარწმუნებულია, რომ
მოლაპარაკებების სწორად წარმართვის შემთხვევაში ბრაზილიელს 30 მილიონ ევროდ გადაიბირებს. შესაძლოა, მადრიდელებმა "სევილიას" ამ
თანხასთან ერთად "არსენალში" გააათხოვრებული ბაპტიშტაც დაუთმონ. გემახსოვრებათ, ჟულიო "სანტიაგო ბერნაბეუზე" სწორედ "სევილიიდან" მივიდა.

არიენ რობენის შეძენა, წესით, გაცილებით უფრო იოლი უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ჰოლანდიელ ფორვარდს
"ჩელსისთან" გაფორმებული კონტრაქტის ვადა მომავალი წლის 30 ივნისს ეწურება. ლონდონელებს ორი არჩევანი აქვთ - რობენს ან ხელშეკრულება უნდა გაუხანგრძლივონ, ან ახლავე გაყიდონ. წინაალმდეგ შემთხვეაპი, გაისად ის თავისუფალი აგენტის
სტატუსს მიიღებს და "სტენფორდ
ბრიჯას" საკომპენსაციო თანხის გარეშე დატოვებს. არაოფიციალური ინფორმაციით, "ჩელსი" მას 18 მილიონ
ევროდ აფასებს.

რაც შეეხება ფაბრეგასს, მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მისი ბედი არსენ ვენგერის მომავალზეა დამოკიდებული. თუ ფრანგი სპეციალისტი "არსენალს" დატოვებს, სესკს "სანტიაგო ბერნაბეუზე" მიმავალი გზა გაეხსნება. ახალგაზრდა ესპანელს არასოდეს დაუმალავს, რომ ვენგერის სხვა კლუბში გადაბარგების შემთხვევაში, ხელმძღვანელობას "რეალში" წასვლის შესახებ დაელაპარაკება.

ილია 603/1930 ლე

- Cic



ეპროპამ მორიგი საფეხბურთო სეზონი მოითავა. გერმანულმა ინტერნეტგამოცემა "შპორტ 1-მა" გასული ბატალიები შეაჯამა და კონტინენტის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. აი, როგორ გამოიყურება ეს გუნდი ხსენებული გამოცემის ვერსიით...

გოეგორი კუკე (ლიონი)

საფრანგეთის ნაკრების მეკარემ "ლიონთან" ერთად ზე დიზედ მეექვსედ მოიგო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. 1997 ნლიდან, როცა ის ამ კლუბში გადავიდა, მისი წარმატების ერთ-ერთი მყარი გარანტიაც გახდა. ბოლო ჩემპიონატის 33 მატჩში მან მხოლოდ 19 გოლი გაუშვა. ეს კი სერიოზული საფუძველია, რომ კუპე სიმბოლური ნაკრების "კარში დავაყე-

ᲐᲚᲔᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲜᲔᲡᲢᲐ (ᲛᲘᲚᲐᲜᲘ)

მოქმედების სისწრაფე, შეუპოვრობა ორთაბრძოლებში, პოზიციის სნორად შერჩევის ჩინეპული უნარი და თავით თამაში - ამ თვისებების წყალობით, ნესტა დიდი ხანია, ითვლება ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად. შარშანდელი სამუნდიალო ტრიუმფის შემდეგ, მან წელს ჩემპიონთა ლიგაც მოიგო, მეორედ - 2003 წლის შემდეგ. ბოლო 13 სალიგო მატჩში "მილანმა" 10 გოლი გაუშვა. კარგი შედეგია და ამაში ნესტას წვლილიცაა.

ᲛᲐᲠᲙᲝ ᲛᲐᲢᲔᲠᲐᲪᲘ (ᲘᲜᲢᲔᲠᲘ)

უდავოა, რომ გასულ ჩემპიონატში სერია A-ს საუკეთესო მცველი იყო. მსოფლიო ჩემპიონმა "ზიდანის სინდრომი" დაძლია და ერთ-ერთი მოწინავე იყო იმათ შორის, ვინც "ინტერი" სკუდეტომდე მიიყვანა. ბოლო ჩემპიონატში მცველის კვალობაზე მეტისმეტად ბევრი, 9 გოლიც გაიტანა. "ინტერის" ძირითადის ერთადერთი იტალიელი, რომელიც პუბლიკის მხრიდან გულწრფელი სიყვარულით სარგებლობს.

ᲜᲔᲛᲐᲜᲘᲐ ᲕᲘᲓᲘᲩᲘ (ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜ)

ორი წლის წინათ, მოსკოვის "სპარტაკიდან" "მანჩესტერ იუნაიტედში" 10 მილიონ ევროდ გადავიდა და ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული სერბი მცველი გახდა. ერთწლია-ნი ადაპტაციის შემდეგ, გასულ სეზონში მან თავი საუკეთესო კუთხით ნარმოაჩინა, როგორც ათლეტური მომზადების მხრივ, ასევე, რაც მცველისთვის მთავარი შტრიხია - "მეორე სართულზე" სანაქებო თამაშით. პრემიერლიგაში ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო და შესაბამისად, სერიოზული წილიც დაიდო "მანჩესტერის" ჩემპიონობაში.

ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲐᲚᲕᲔᲨᲘ (ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲐ)

"სევილიასთან" ერთად მოიგო უეფას თასი, ხოლო "რეა-ლისა" და "ბარსელონის" შემდეგ, პრიმერა დივიზიონში მესამე ადგილი დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ამპლუით საყრ-დენი ნახევარმცველია, "სევილიაში" მარცხენა მცველის ფუნქციას ასრულებდა და ამ როლშიც გამოიჩინა თავი. ამას-თან, ჩემპიონატში 3 გოლიც გაიტანა. ძირითადი შემადგენ-ლობიდან გერმანელი **ანდრეას ჰინკელი** ამოაგდო. 553KJ30 2006/07

F7373003FWEU 60333333136M03 anant

ბუნდესლიგის ერთადერთი წარმომადგენელი სიმბოლურ ნაკრებში. ბოლო საჩემპიონო სეზონში "შტუტგარტის" ტვინი და ძრავა იყო. ძლიერია ორთაბრძოლებში, კარგად კითხუ-ლობს თამაშს, კლასიკური ტიპის "ექვსიანია". ამ სეზონში 8 გოლი და ამდენივე შედეგიანი პასი მიითვალა.

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝ (ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜ)

შეიძლებოდა, უკომენტაროდაც დაგვეტოვებინა. მასზე ამბობენ, რომ სადღაც რონალდოსეულ განდიდების მანიასა და გენიალობას შორისაა. პრემიერლიგის ჩემპიონი, პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი და... პრემიერლიგის სულაც ნომერი პირველი ფეხბურთელი - ყველა ეს ჯილდო მან ამ სეზონში მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, მეოთხედფინალის ცნობილი ამბების გამო, ინგლისში "პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადეს და გულშემატკივართა მხრიდან ობსტრუქციაც დაიმსახურა, **სერ ალექს** ფერგიუსონმა მაინც შეძლო მისგან ლიდერის "გამოთლა". 22 წლის ფეხბურთელისთვის ჩემპიონატში 17 გოლი და 14 საგოლე გადაცემა მართლაც ფენომენალური შედეგია.

ൗപ്രാലുന്ന ക്യക്സ് (പ്രവാ)

მშობლიურ რომში მას სახელით არასოდეს მიმართავენ. "ჯალოროსის" ტიფოზებისთვის ის უბრალოდ "ჯადოქარია", ან გნებავთ "რომის მეფეც", შეიძლება უფრო მარტივადაც - "დიდი კაპიტანი". გასული სეზონი მის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სერია A-ში გატანილი 26 გოლის წყალობით ევრობომპარდირის "ოქროს პუცი" მოიგო, "რომას" კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისა და იტალიის თასის მოგებაში დაეხმარა.

ის იქნება კრისტიანო რონალდოს მთავარი მეტოქე (უფრო პირიქით) ამ წლის საუკეთესო ფეხბურთელის (ფიფას ვერსია) ტიტულისა და "ფრანს ფუტბოლის" "ოქროს ბურთისთვის" ბრძოლაში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჩემპიონთა ლიგაში, ის გახლდათ აგრეთვე ცენტრალური ფიგურა 23 მაისის ათენურ ფინალში. "მილანმა" ამ ტურნირში 20 გოლი გაიტანა და აქედან ნახევარი კაკას ეკუთვნოდა. ამას გარდა, ბრაზილიელმა ფლეიმეიქერმა 4 საგოლე პასიც გააკეთა.

ᲠᲣᲣᲓ 3ᲐᲜ ᲜᲘᲡᲢᲔᲚᲠᲝᲘ (ᲠᲔᲐᲚᲘ)

ფორვარდი, რომელსაც სამეფო კლუბში "მეორე სუნთქ-' გაეხსნა. პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი (25 გოლი) და ესპანეთის ჩემპიონი. პლუს ამას, ჩემპიონთა ლიგის 7 მატჩში 6 გოლი გაიტანა.

ᲓᲘᲓᲘᲔ ᲓᲠᲝᲒᲒᲐ (ᲩᲔᲚᲡᲘ)

"ჩელსის" ვარსკვლავური ანსამბლის ერთადერთი წარმომადგენელი სიმბოლურ ნაკრებში. კლუბთან ერთად მოიგო ინგლისის ასოციაციისა და ლიგის თასები. 20 გოლით ყველაზე შედეგიანი იყო პრემიერლიგაში, ხოლო ყველა ტურნირში გატანილი 33 გოლით, ევროპის ფორვარდებს შორის საუკეთესო გახლდათ.



naaa eeen 25 an�n66 Nb�Nb

გამოცემა "შტუტგარტერ ნახრიხთენი" იტყობინება, რომ "შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელს, ბუნდესლიგის გასული სეზონის აღმოჩენა **მარიო გომესს** "იუვენტუსმა" დაადგა თვალი. მეტიც, ხსენებული გაზეთი გვამცნობს, რომ ტურინული გიგანტი მზადაა, 21 წლის აყლაყუდა გოლეადორში არც მეტი, არც ნაკლები, 25 მილიონი ევრო გადაიხადოს. როგორც იცით, ტურინელები **დავიდ ტრე**ზეგეს შემცვლელს ეძებენ, რომელსაც "იუვეს" დატოვება გადაწყვეტილი

გერმანიის ჩემპიონის სპორტული დირექტორი იოხენ შნაიდერი "ბებერ ქალბატონთან" მოლაპარაკებებს უარ-ყოფს. *"გურინიდან არანაირი შემოთა*ვაზება არ მიგვიღია. მეტიც, ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს, ვის უნდა გომესის გადაბირება, რადგან მარიოს გაყიდვას არ ვაპირებთ," - აცხადებს შნაიდერი. ასეთივე აზრისაა შვაბური კლუ ბის გენერალური მენეჯერი ჰორსტ ჰელდტიც: "მარიოს არსად გავუშვებთ, ეს უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ჩვენი მიზანია, რომ ძლიერი ფეხბურთელები შევინარჩუნოთ და ევროპაში ღირსეულად წარვდგეთ, გომესის გაყიდვა კი სა-მარცხვინო საქციელი იქნება!"

და რას ამბობს თვითონ ფეხბურთელი? "მე "შტუტგარტის" ფეხბურთელი ვარ. სხვა დანარჩენი ჩემი მრჩევლის საქმეა, მას ჰკითხეთ!" - ყოველ შემთხვევაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გომესი იუვენტუსში" გადასვლაზე უარს ამბობს. მიუხედავად იმისა, რომ შვაბები ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, "იუვე" კი ევროსარბიელს მიღმაა, მარიოსთვის ტურინული გიგანტი მაინც დიდი გა-მოწვევა უნდა იყოს. თანაც, თუ "იუვენ-

ტუსი" მზადაა, 25 მილიონი გადაიხადოს, წესით VFB-ს უარის თქმა უნდა გაუჭირდეს.

ფაქტი ის გახლავთ, რომ "შტუტგარტი" თვითონ ეძებს თავდამსხმელს, რადგან შვაბთა მთავარი მწვრთნელის არმინ ფეეს განკარგულებაში დღეი-სათვის მხოლოდ ორი ნომინალური ფორვარდია: კაკაუ და ხსენებული გომესი. როგორც იცით, გერმანიის ჩემპი-ონებმა **პენიამინ ლაუთის** კონტრაქტის გამოსყიდვაზე უარი თქვეს და ზამთარში არენდით აყვანილი ფეხბურთელი ისევ "ჰამბურგს" დაუბრუნეს, გუნდს, რომელიც ბენის ასევე ყიდის შვაბები იონ დალ ტომასონსაც ყიდიან, რომელიც "ვილიარეალში" იყო განათხოვრებული. ეს უკანასკნელი შვაბთა ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა და რაკი იმედები ვერ გაამართლა, ბოსებს უნდათ, რომ რაც შე-იძლება მალე მოიშორონ. ამასთან, ფეეს არც დანიელ ლიუბოჟას დანახვა უნდა. სერბი ფორვარდი, როგორც იცით, "ჰამბურგში" იყო განათხოვრე-ბული. ანუ, "შტუტგარტში" მომავალი არც ამ უკანასკნელს აქვს.

როგორც იცით, VFB-მ "სარაგოსას-თან" ევერტონის შესახეპ მოლაპარაკებები ნამოიწყო. უკანასკნელი ინფორმაციით, ესპანელები ბრაზილიელ თავდამსხმელის გაყიდვაზე თანახმანი არიან. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, "შტუტგარტმა" შეთავაზება 3-იდან 5.5 მილიონ ევრომდე გაზარდა. როგორც იცით, "სარაგოსა" თავიდან 10 მილიონს ითხოვდა. ევერტონის მრჩეველი **გერჰარდ პოშნერი** ამპობს, რომ მხარეები ნელ-ნელა უახლოვდები-ან იმ თანხას, რომელიც ორივე გუნდს

დააკმაყოფილებს.

&ᲠᲐᲖᲔᲒᲔᲪ ᲓᲐ 3**ᲘᲜ**ᲛᲔ ᲡᲮᲕᲐᲪ

"Ոუვენტუსი" **დავიდ ტრეზეგეს** ოთხნლიან კონტრაქტს შესთავაზებს. ფრანგ თავდამსხმელს წლიურად 2.8 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. მოვლენები ელვის უსწრაფესად ვითარდება. სულ რამდენიმე დღის წინათ გრეზეგეს "არსენალში" გადასვლა უწინასწარმეტყველეს. დავიდმა თითქოს ისიც თქვა, რომ გურინელთა შემადგენლობაში აღარასოდეს ითამაშებდა, მაგრამ "ქალბაგონს" ის იოლად არ მადგეხლობაში აღარასოდეს ითაშაძებდა, ძაგრაძ ქალბატონს ის იოლად აო ეთ-მობა. პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ თქვა, რომ ყველაფერს იღონებს ფეხბურთელის შესანარჩუნებლად. ტრეზეგეთი "ვალენსიაც" იყო დაინტერესებუ-ლი, მაგრამ დავიდის ფინანსურმა მოთხოვნებმა საქმიდან გასვლა აიძულა. ამავე პრობლემის გამო ჩაიშალა "ლიონის" საკმაოდ რეალური ვარიანტიც. ტრეზეგესთან მოლაპარაკებების პარალელურად, "იუვე" კვლავაც აქტიუ-რად აგრძელებს ახალი თავდამსხმელის ძებნას. ინტენსიურად განიხილება მი-

ლანელი **ალბერტო ჯილარდინოს** ტრანსფერის საკითხი. "როსონერიდან" ჯილარდინოს აბარგება საეჭვო თითქმის აღარ არის. მილანმა ხომ "კალიარის" პონდურასელი თამდამსხმელი დავიდ სუასო შეიძინა. კარლო ანჩელოტი აიაქსელი **კლაას იან ჰუნტელაარის** ტრანსფერზეც მუშაობს



ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲠᲘᲥᲔᲚᲛᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲕᲔᲠᲝᲜᲘᲪ

ᲙᲠᲔᲡᲞᲝ ᲙᲝᲞᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ...

ხუან რომან რიკელმე არგენტინის ეროვნულ გუნდში დაბრუნდა. ერთი წლის წინათ მან სანაკრებო კარიერა დაასრულა, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა. ალფიო ბასილემ ის კოპა ამერიკის 22-კაციან განაცხადში შეიყვანა. სამი დღის წინათ "ბოკა ხუნიორსმა" რიკელმეს დუბლით ბრაზილიური "გრემიო" დაამარცხა და ლიბერტადორესის თასი მოიგო (სულ წლევანდელ ტურნირში ხუან რომანმა რვა გოლი გაიტანა). გუშინ არგენტინელები ვენესუელის ქალაქ მარაკა ჯგუფური ეტაპის მატჩებს იქ ჩაატარე-ბენ. "ალბისელესტეს" მეტოქეები პა-

რაგვაი, კოლუმბია და აშშ არიან. ნაკრების შემდეგ, რიკელმეს "ვილიარეალში" დაბრუნებასაც ხომ არ უნდა ველოდოთ? ესპანური კლუბის პრეზიდენტი ხოსე მანუელ ლიანესა პასუხობს, რომ არა: "ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ საკითხი ფეხბურთელისათვის სასიკეთოდ გადავწყვიტოთ. რიკელმემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნამდვილი ვარსკვლავია, მაგრამ მისი წარმატება "ვილიარეალის" გეგმება არ ცვლის. სამწვრთნელო შტაბი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. მას რიკელმე არ სჭირდება. ხუან რომა-



ხუან რომან რიკელმე

ნის საუცხოო თამაში გრანსფერის საკითხს საგრძნობლად გააადვილებს."

დავუბრუნდეთ არგენტინის ნაკრებს. ბასილემ უარი თქვა **ხავიერ სავი-**ოლაზე, რომელსაც "ბარსელონაში" პრობლემებით აღსავსე სეზონი ჰქონდა. ორნლიანი პაუზის შემდეგ გამოძახებულია ხუან სებასტიან ვერონი. თავდასხმაში, მოლოდინისამებრ, ლიონელ მესი, კარლოს ტევესი და ერნან კრესპო ითამაშებენ. ამ უკანასკნელს კოპა ამერიკაზე პირველად ვიხილავთ.

მეკერეები - რობერტო აბონდანსიერი (ხეტაფე), ხუან პაბლო კარისო (რივერ პლეი-

ტი), აგუსტინ ორიონი (სან ლორენსო); მცველები - რობერტო აიალა (ვალენსია), ხავიერ ძანეტი (ინტერი), უგო იბარა (ბოკა ხუნიორსი), გაბრიელ მილიტო (სარაგოსა), გაბრიელ ჰაინცე (მანჩესტერ იუნაიტედი), დანიელ დიასი (ბოკა ხუნიორსი), ნიკოლას ბურდისო (ინტერი);

ნახევარიცეველები - ლუის გონსალესი (პორტუ), ხავიერ მასკერანო (ლივერპული), ესტებან კამბიასო (ინტერი), ფერნანდო გახო (რეალი), პაბლო აიმარი (სარაგოსა), ხუან სე-ბასტიან ვერონი (ესტუბიანტესი), ხუან რო-მან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი); თავობმსხმელები - ლიონელ მესი


(ბარსელონა), ერნან კრესპო (ინტერი), დიეგო მილიტო (სარაგოსა), კარლოს ტევესი (ვესტ ჰემი), რობრიგო პალასიო (ბოკა ხუნიორსი).



USOS PROPERTY OF THE SECOND TO SECONDARY OF THE SECONDA

UNITED OF SERVICE OF S

იბСԺნბ ი១୯ᲢনᲝᲜᲐ



შბრშბნ დედაქალაქის მერიამ დიდი რეფორმა განახორციელა. ქალაქის ხელმძღვანელობამ, მის დაქვემდება- რებაში მყოფ ყველა სამსახურს ერთ ორგანიზაციაში მოუყარა თავი და უწოდა მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახური. მასში შედის ყოფილი სპორტის სამსახურიც, რომლის ყოფილი თავკაცი ზაზა დოლიძე ამჟამად გაერთიანებული სამსახურის უფროსის, მამუკა ქაცარავას მოადგილეა სპორტის დარგში. ზაზა დოლიძეს გუშინ ვესტუმრეთ და ბოლო ხანს მომრავლებულ ფრიად საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ.

- ბაზების თვითდაფინანსებაზე გადასვლით დავიწყოთ, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა...

- 2007 წლის პირველი თებერვლიდან, სპორტსკოლები და სპორტული ბაზები გადავიდნენ თვითდაფინანსების სისტემაზე. ჩამოყალიბდა მთავარი ცენტრი, რომელსაც სათავეში უდგას ემზარ კიკაბიძე. აღნიშნული ცენტრის დაქვემდებარებაშია 24 სახეობის სპორტული ობიექტები.

ყველა ფილიალს ეწოდება არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რაც ნიშნავს მათს თვითდაფინანსებაზე გადასვლას. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება სპორტს აღარ ეხმარება. 18 წლამდე ასაკის წარ-

aŁŊĸულŊ

ՄԳՐԳԻՐԳՈ

ლევან თელიაშვილის სახელობის

დიღმის საჭიდაო კომპლექსში გუშინ დას-

რულდა "მხიარული სტარტების" შეჯიბ-

რება ობოლ და მზრუნველობას მოკლე-

ბულ ბავშვთა სახლებს შორის. ტურნირს

ორგანიზებას უწევდნენ სპორტისა და

ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენ-

ტი, ტელეკომპანია "რუსთავი-2", კომპა-

ნია "პეპსი" და ბავშვთა და მოზარდთა

სპორტული თამაშების ფედერაცია. სულ 8 გუნდი მონაწილეობდა. ორგამატებულ სპორტსმენებსა და გუნდებს, მერია კვლავ აფინანსებს. ამას გარდა, გამოყოფილია თანხა, რომელსაც ბაზებს ვაძლევთ კომუნალური გადასახადების ნახევრის დასაფარად.

მალე დავანესებთ ვაუჩერულ სისტემასაც, რომლითაც დაფინანსდება 9500 თბილისელი სპორტსმენი. აქედან 3500 იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენელი. ვაუჩერიზაციის სისტემა სამ ეტაპად დაიყოფა. პირველ ეტაპზე, დაფინანსდება 5-დან 11 წლამდე ასაკის 3000 ბავშვი, შემდეგ – 12-16 წლის 2000 სპორტსმენი, ბოლის კი 17-18 წლის 1000 ახალგაზრდა. საერთო ჯამში, ვაუჩერის მქონე 9500 სპორტსმენი, ასაკის მიხედვით, ყოველთვიურად მიიღებს ვარჯიშისთვის საჭირო 20, 25 და 30 ლარს. საერთო ჯამში, ამაზე მერია ხარჯავს 2 400 000 ლარს.

- გასაგებია, მაგრამ ბაზების თვითდაფინანსებაზე გადასელა მაინც ხომ არ გამოიწვევს სპორტსმენთა რაოდენობის შემცირებას?

- ალბათ ყველამ იცის, თუ რა მდგომარეობაშია თბილისში არსებული ბაზების უმეტესობა, სადაც არაა გათბობა, ცხელი წყალი და დარბაზში წვიმა ჩადის. აუცილებლად უნდა გადადგმულიყო ნაბიჯი, რომელიც მოაწესრიგებდა ბაზებს, სპორტსმენებს კი ნორმალურ სავარჯიშო პირობებს შეუქმნიდა. **ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲖᲐᲖᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ**


ეჭვიც არ მეპარება, რომ როდესაც ინვესტორი სპორტულ ობიექტს თანამედროვე სტანდარტებში მოიყვანს, მოვარჯიშეთა რაოდენობა, შემცირების ნაცვლად, გაიზრდება. მთავარია, ინვესტორი და სკოლის დირექტორი იყვნენ კარგი მენეჯერები, რომლებიც სპორტსმენებს ხელსაყრელ პირობებს შესთავაზებენ. ყველაზე მთავარი, რაზეც მათუნდა იზრუნონ, სპორტული ბაზებიბ პროფილის შენარჩუნება და დამატებითი თანხების მოძიებაა, რითაც გაისტუმრებენ კომუნალურ გადასახადებს, შეიძენენ ინვენტარს თუ სპორტსმენთა ეკიპირებას და ასე შემდეგ...

რაც შეეხება მწვრთნელებს, თვითდაფინანსების სისტემა მათთვისაც საკმაოდ ხელსაყრელი იქნება. თუკი ადრე, მათი საშუალო ხელფასი 70-100 ლარს შორის მერყეობდა, ახლა მათი გასამრჯელო, მინიმუმ, გაორმაგდება. ამასთან, მწვრთნელის საქმე უფრო დაფასდება, გაჩნდება კონკურენცია, წინა პლანზე წამოიწევიან ნამდვილი პროფესიონალები...

თბილისის მერიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ყოველწლიურად სამი საუკეთესო სპორტსკოლა სოლიდური ფინანსური პრემიით წაახალისოს. თუკი კარგ შედეგს ერთბაშად 4-5 სკოლა აჩვენებს, არც მათი დაჯილდოებაა გამორიცხული.

- კიდევ რა პროექტები გაქვთ გეგმაში?

- წლეულს თბილისის მერია ახორციელებს მარტივი ტიპის ღია მოედნების მშენებლობის პროგრამას. წლის ბოლომდე 60 კომპლექსური მოედანი უნდა გავაკეთოთ. თითოეულში შესაძლებელი იქნება ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის თამაში და ვარჯიში. იმ მწვრთნელებს, რომლებიც, ვთქვათ, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში დადი-



კომპლექსში სამი დარბაზი და საცურაო აუზი იქნებ

ან და დარბაზში მისვლა უჭირთ, შეუძლიათ, კარგ ამინდში, საკუთარ სახლთან ახლოს მდებარე ასეთ კომპლექსებშიც ავარჯიშონ მოსწავლეები...

დაბოლოს, უმთავრეს სიახლეზეც გეტყვით. თბილისის ყველა რაიონში ვაპირებთ თითო უნივერსალური სპორტული კომპლექსის მშენებლობას, რაც 2008 წლის შემოდგომით უნდა დასრულდეს. კომპლექსში შედის სამი დარბაზი. აქედან, ერთი დარბაზი თავისი პარამეტრებით, საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება ხელბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და ფუტზალისთვის. მოედნის სიგრძე 44 მეტრი იქნება – სიგანე კი 26 მეტრი და 600-კაციანი ტრიბუნაც დამონტაჟდება. აღარაფერს ვამბობ გათბობაზე, განათებაზე, გასახდელებზე და ასეთ ელემენტარულ კომპო-ნენტებზე. დანარჩენი ორი დარბაზის ზომა იქნება 30X20, სადაც შესაძლებელი იქნება, ორი საჭიდაო ხალიჩის, ან ტატამის დაგება. იქვე, იქნება 25-მეტრიანი საცურაო აუზი.

 - ვინ ააშენებს უნივერსალურ კომპლექსებს, ხელისუფლება თუ ინვესტორები?

- ინვესტორები. ჩვენ ჩავატარებთ ტენდერს, რომელში გამარჯვებულ კომპანიებს, თუ ცალკეულ ბიზნესმენებს, გამოვუყოფთ თავისუფალ ტერიტორიებს ათი წლის ვადით, სადაც აღნიშნული კომპლექსების აშენებას დავავალებთ. ამ პროექტის გაცნობისას რამდენიმე კაცმა მკითხა – კი, მაგრამ, ათი წლის მერე რა მოხდებაო. რა უნდა მოხდეს – თუკი ინვესტორი ამხელა კომპლექსს 10 წლის განმავლობაში შეინახავს, არც მერე გაუჭირდება. თუ არადა, სახლში ვერ წაიღებს და ვერც დაანგრევს – იგი ისევ ქვეყანას დარჩება.

- დაახლოებით, რა თანხა დაჯდება თითოეული ასეთი კომპლექსის აშენიბა?

- ჩვენი გამოთვლით, ორმილიონნახევარიდან სამი მილიონ დოლარამდე.

კობა ხატისაშვილი

NOAC6EG9E

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲦᲜᲔᲜ

პბრიზში მიმდინარე დიდი სლემის გათამაშებაში ჯგუფური ტურნირი დაძლია და ფლეი ოფში გააღნია ქართულმა წყვილმა გეორ-გიამ. ჩვენმა ფრენბურთელებმა G ჯგუფის სამი შეხვედრიდან ორი მოიგეს, ჯგუფში მე-ორე ადგილი დაიკავეს და ფლეი ოფში გააღნიეს. პირველი ადგილი კი ამერიკელებს გიბსა და როზენტალს ერ-გოთ. გეორ-გიამ ჯერ ნორვეგიელები კიმპერუდი და სკარლუნდი დაამარ-

ცხა დაძაბულ ბრძოლაში 2:1(23:21, 21:23, 15:13), მერე ამერიკელებთან დამარცხდა 0:2 (16:21, 12:21), ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში კუბელებს, ალვარესსა და მუნდერს სძლია 2:0 (21:16,21:19).

ჩვენმა ქალებმა, საქა-რთველომ 25-ე ადგილი დაიკავეს, რისთვისაც 80 სარეიტინგო ქულა და 3 500 ამერიკული დოლარი ერგოთ.

პესიკ 3<3683333ძე





ნიზატორები ნელ-ნელა მთელი ქვეყნის მოცვას აპირებენ. ფინალში გავიდნენ თბილისის "ნიკე" და კოჯრის "მგლები". ფინალურმა ორთაბრძოლამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. ტრიბუნები თითქმის ბოლომდე იყო შევსებული. აქ თავიდანვე "ნიკემ" იგდო ხელთ უპირა-

აქ თავიდანვე "ნიკემ" იგდო ხელთ უპირატესობა. მართალია, ბოლოსწინა ტურში,
"მგლებმა" ხუთ ქულამდე დაიყვანა სხვაობა,
მაგრამ საბოლოოდ, მაინც თბილისელებმა
გაიმარჯვეს. შეჯიბრების დასასრულს, ყველა, ნახევარფინალისტი გუნდი დაჯილდოვდა. მეორე-მესამეადგილოსნებს, "ნაცაონალური მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა
დავით კირკიტაძემ ფერადი ტელევიზირები გადასცა. ამას გარდა, "მგლებს" თასიც ერგო. თასითა და უფრო დიდი ეკრანის მქონე
ტელევიზორით, ოლონდ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, დავით ნამგალაურისაგან, დაჯილდოვდა ჩემპიონი "ნიკე".

კობა ხატისაშვილი

mannen

ბრრის ფიაჩჰრმი. 23.06.1903, თბილისი-17.12.1985, იქვე. მძლეოსნობა. საქართველოს მრავალგზის რეკორდსმენი 100მ რბენაში, 110 მ თარვჯრბენსა და ჭოკით ხტომაში. მუშაობდა მწერთნელად. ავარვჯიშებდა ნინო დუმბაძეს (მისი მეუღლე), ელენე გოკიელს, ლევან სანაძესა და რობერტ შავლაყაძეს. სსრკ სპორტის დასახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი. ტარიელ ალიგეგაშვილი. 23.06.-1945, ყაზბეგი - 25.03.1991, დუშეთი. თავისუფალი ჭიდაობა (52,57 კგ). მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1969), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1965, 72), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მწუხარებას გამოთქვამს ახალგაზრდა ძიუდოისტების ალეკო გითარიშვილისა

ᲓᲐ მᲐᲚᲮᲐᲖ ᲙᲣᲛᲚᲐᲫᲘᲡ ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს მათს





WILLEUM UZGSENYC JUZGSENYCP JManajan bykamangajem

ceenment of

33C3MA35MN

94U97E3WF7B 33M3a3a3a00

საძართველოს ნაკრების საზაფხულო მზადების გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა - ბულგარეთისა და პორტუგალიის ტურნირების შემდეგ ორ საკონტროლო შეხვედრას დიდი ბრიტა-ნეთის ნაკრებთან ჩავატარებთ.

"ბრიტანელთა მწვრთნელი გორდონ ჰერბერტის ახლობელია. კუნძულელებმა ჩვენი გუნდის თავკაცს ორი ამხანაგური მატჩის გამართვა ინგლისში შესთავაზეს, მაგრამ რადგან ისედაც ბევრი სასიარულო გვაქვს, ბრიტანელებს შეხვედრების გამართვა საფრანგეთში, "პო ორტეზის"

ბაზაზე შევთავაზეთ, რაზეც თანხმობა მივილეთ. მატჩების ჩატარების თარილეპი დასაზუსტებელია - ან 8-9 აგვისტოს ვითამაშებთ, ან - 9-10-ში". - გვითხრა კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაპ რატიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ დიდი ბრიტანეთის ნაკრები ჩვენსავით B დივიზიონშია და ზედა ლიგაში მოსახვედრად იბრძვის. ნებისმიერი საკონტროლო შეხვედრას რომ სარგებლის მეტი არაფერი მოაქვს, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ბრიტანელებთან გაჯიბრება, შეიძლება ორმაგად ლი-

რებული იყოს, რადგან სავარაუდოდ მათ რიგებში ითამაშებს ლუოლ დენგი. ვისაც ეს გვარი არაფერს ეუბნება, მოგახსენებთ - დენგი "ჩიკაგო ბულზის" წევრია და NBA-ს გასულ სეზონში საშუალოდ 18.8 ქულასა და 7.1 მოხსნას აგროვებდა. მას 2006 წელს ბრიტანეთის მოქალაქეობა იმ იმედით მისცეს, რომ 2007 წელს პრიცანეთის ნაკრების A დივიზიონში გადასვლაში დაეხმაროს. "ჩიკაგოს" ფორვარდი გასული სეზონის დიდი ბრიტანეთის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

ვაჟა სიმონიშვილი

necasce

350G5600: 5735 3504540

RJ33NM6M3J, **ᲓᲘᲓᲝᲡᲒᲐᲒᲝᲑᲐ**. 6774399U 9WF33647



ძართულ ჭადრაკს კი უჭირს, მაგრამ ნიჭიერების ნაკლებობას მაინც არ ვუჩივით - გოგონებშიც და ვაჟებშიც ბევრი პერსპექტიული მოჭადრაკე გეყავს. რუსთაველი ლუკა პაიჭაძეც ამ რიგში მოიხსენიება და სამართლიანად ითვლება ქართული ჭადრაკის ერთ-ერთ იმედად. მართალია, მას ჯერ ხმაურიანი გამარჯვებები არ მოუპოვებია, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები აქვს და ბევრად უფროსებთანაც არაერთხელ გამო-

სულა გამარჯვებული. ლუკა პაიჭაძე 1991 წელსაა დაბადებული და იოლი გასაგებია, თუ რატომ არ უმაგრებს მას ზურგს დიდი წარმატებე-ბი. ამისთვის, მინიმუმ, დიდ ტურნირებ-ში თამაშია საჭირო, თამაშისთვის კი უმაღლესი დონის მომზადება და იქამდე მიღნევა, ანუ გამგზავრება. ამისათვის რამდენად ძნელია საჭირო თანხების მოძიება, ჩვენში ყველას კარგად მოეხსენება. ასეთ დროს არსებობს გამოსავალი ნიჭიერი ახალგაზრდა შეძლებულმა სპონსორმა უნდა შეამჩნიოს და დაეხმაროს. იშვიათად, მაგრამ საქართველო-შიც ხდება ხოლმე ასე... დანარჩენს ინტერვიუდან შეიტყობთ.

ქადრაპის თამაში 6 წლისამ დავიწყე და მას შემდეგ სხვაგან არც გამიხედავს მართალია, ფეხბურთიც ძალიან მიყვარს, მაგრამ ჭადრაკს ვერ ვანაცვალებ.

- ალბათ, როგორც თითქმის ყველას, პირველად ოჯახში შეგასწავლეს ჭადრაკი და ამის შემდეგ დაინტერესდი.

- სხვათა შორის, არა. საჭადრაკო სექციაზე ისე მივედი, სვლაც არ ვიცოდი. მამას უნდოდა ჭადრაკი შემესწავლა და შეეძლო თავად ესწავლებინა საფუძვლები, მაგრამ იფიქრა - რამე არაზუსტად არ ვასწავლოო და გადაწყვიტა, პროფესიონალისთვის ვეჩვენებინე. რუსთავში სა-ჭადრაკო ცხოვრებას მაშინ მშვენიერი ოსტატი, პიროვნება და მწვრთნელი დავით ტიკურიშვილი განაგებდა. ბატონი დავითი იყო ჩემი პირველი მასწავლებელი და მშვენივრადაც შემასწავლა თამაში.

ჭადრაკს იმდენი დრო მიაქვს, რომ სკოლაში სიარულს ვერ ვახერხებ. რუსთავის მეთერთმეტე კლასიკური გიმნა-

ზიის რიგებში ვირიცხები. საბედნიეროდ, გიმნაზიის ხელმძღვანელობა ხელს მიწყობს და ამისთვის მას დიდ მადლობას მოვახსენებ. უმაღლესში სწავლის გაგრძელებას რაც შეეხება, ამაზე ბევრს არ ვფიქრობ - სხვა პროფესიის დაუფლების დიდი სურვილი და ინტერესი არ მაქვს ჩემი პროფესია ჭადრაკია და ეს არჩევანი დიდი ხნის წინათ გავაკეთე.

გამოდის, უმაღლეს განათლებას

- გაისად დავიწყებ მომზადებას და სა ბოლოოდ ალბათ სადმე ჩავაბარებ, მაგრამ ეს არ იქნება ჩემთვის მთავარი. უმაღლესში სწავლის გაგრძელება მხოლოდ იმისთვის მინდა, ელემენტარული განათლება მქონდეს და ახალგაზრდული წლებიც შედარე-

ბით საინტერესოდ გავატარო.
- ანუ დიპლომისთვის უნდა ჩააპა-

- კი, ნამდვილად ასეა - უდიპლომოდ ბევრგან დამიწუნებენ... (იცინის). - კარგი. რახან ასე გადაგიწყეეტია

და ჭადრაკს უთმობ მთელ დროს, ისიც გეცოდინება, რომ ურთულესი საქმეა, და წარმატებისთვის მარტო ნიჭი და მონდომება არ კმარა, ფინანსებიც უნდა გიმაგრებდეს ზურგს.

ცხადია, მესმის არჩევანის სირთულე, მაგრამ პრობლემები არ მაფრთხობს. ორი-სამი წლის წინათ ნაკლები სერიოზულობით ვუდგებოდი საქმეს, მაგრამ დღეს ასე აღარ არის. ჩემდა ბედად, რუსთავის ხელმძღვანელობამ, მერმა დავით ნადაშვილმა, ყურადღება მომაქციეს და რამდენჯერმე დახმარება გამინიეს; მომავალშიც მპირდებიან ხელშეწყობას. რამდენიმე ხნის წინ კი კიდევ ერთმა ორგანიზაციამ ისურვა ჩემი დახმარება: რუსთავში მოქმედებს კომპანია "ენერჯი ინვესტი", რომელიც ქარხანა "აზოტის" მფლობელია. კომპანიის ხელმძღვანელია ბატონი გენო მალაზონია, მოადგილეები გოგი ბახტაძე და თემურ გორგოძე. მათ უდიდეს მადლობას მოვახსენებ, რადგანაც საკუთარი ინიციატივით დამიკავშირდნენ და თანადგომა აღმითქვეს. მალე ოფიციალურ ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ, სადაც ორივე მხარეს გარკვეული ვალდებულებები დაგვეკისრება:

კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველთვიურ ხელფასს დამინიშნავს, საწვრთნელ შეკრებებს და ტურნირებზე გამგზავრებას დამიფინანსებს, მე კი კომპანიის სახე გავხდები და რეკლამას გავუწევ... - მსგავსი ურთიერთობა ჩვენში იშ-

ვიათობაა. კარგია, რომ იმედიანად ხარ, მაგრამ საჭადრაკო დაფაზე გადასაწყვეტი პრობლემები მხოლო შენი მოსაგვარებელია. საკუთარ თამაშში ხარვეზებს ხედავ და როგორ მუშაობ მათზე?

- ძალიან ცუდი მდგომარეობა მაქვს სადებიუტო მომზადებაში. აშკარად ბევრი მაქვს სასწავლი და უკვე დავიწყე ამ საკითხზე სერიოზულად მუშაობა - საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ხვიჩა სუპატაშვილთან ვმეცადინეობ. უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონი ხვიჩა შესანიშნავი პედაგოგია და სულ სხვა თვალით შემახედა ჭადრაკს. დარწმუნებული ვარ, სულ მალე მასთან მუშაობა დიდ შედეგს გამოიღებს.

ბატონი ხვიჩას კომპეტენცია ყველასთვის ცნობილია, მაგრამ საქართვლეოში ლამის ყოველი მეორე, თუ ყველა არა, მასთან იმაღლებს კლასს, რაც საერთოქართულ სურათს ერთფეროვანს ხდის. ჩვენში ხუმრობენ კიდეც - ქართველმა მოჭადრაკეებმა კარო-კანისა და გრიუნფელდის დაცვის მეტი არაფერი იციანო...

- როცა ერთი კაცი ამდენთან მუშაობს, სტილთა მსგავსება ბუნებრივია, მაგრამ ჩემთან მიმართებაში, ბატონმა ხვიჩამ სულ სხვა გზა აირჩია - კარო-კანის დაცვაზე არ ვაკეთებთ აქცენტს - სიცილიურ დაცვას ვამუშავებთ. ასეთი ნაბიჯი ბატონმა ხვიჩამ ჩემი სათამაშო სტილის გამო გააკეთა - მე უფრო კომბინაციური, შემტევი სტილის ვარ და "სიცილიური" ზედგამოჭრილია ასეთ დროს.

- შემტევ მოჭადრაკეებს დაცვა არ უყვართ და ხოლმე და სათანადოდ არც შეუძლიათ. შენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?

- მეც საშინლად ვერ ვიტან, მაგრამ შემიძლია - დაცვაში თავისთავად გამოვიწრთე, რადგანაც დებიუტის შემდეგ სულ უარეს პოზიციას ვიღებდი და თავის დახსნის გზებს ვეძებდი

- დღეს კომპიუტერი აუცილებელი გახდა მოჭადრაკისთვის. შენ როგორ იყენებ კომპიუტერს?

რამდენიმე ხნის წინათ, აქტიური მომხმარებელი ვიყავი და ძირითადად, ბლიცებს ვთამაშობდი ხოლმე. შემდეგ მივხვდი, რომ ვაჭარბებდი და ისე ხშირად აღარ ვზივარ კომპიუტერთან.
- როგორ ფიქრობ, პროფესიონალმაც


და დამწყებმაც კომპოუტერით უნდა იმე-ცადინოს, თუ საჭადრაკო ნიგნებით? - ჯობს ნიგნებით ისწავლოს ჭადრაკი

და გაიღრმავოს ცოდნა, კომპიუტერი კი წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით გამოიყენოს. მაგალითად, პარტიის წინ მეტოქის თამაშის შესასწავლად. სხვა პლუსებიც აქვს კომპიუტერს, თუმცა წიგნი შეუცვლელი მგონია.

- <mark>მიზნები როგორი გაქვს?</mark> - უახლოესი მიზანი 16 წლამდე ასაკში ევროპის და მსოფლიო ჩემპიონობაა. ეს ტურნირები ამ შემოდგომით მელის. შემდეგი - დიდოსტატის ნორმატივის შესრულება და ბოლოს -საქართველოს ნაკრებში მოხვედრა. არცერთი არ არის იოლი მისაღწევი, განსაკუთრებით ნაკრებში ადგილის მოპოვება - იქ ძალიან ძლიერი მოჭადრაკეები არიან და არანაკლები ნიჭის მქონე მომავალი თაობა მოდის, ვისაც ამბიციურობა არ აკლია. მე მაინც მჯერა, რომ დასახულ ამოცანებს შევასრულებ...

ზვიად შათირიშვილი

LJaám



გუშინ სამბოს ფედერაციამ განვ-ილი ექვსთვიანი მუშაობის შესაფასებლად გამართა პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც წუთიერი დუმილით დაიწყო - პატივი მიაგეს გუშინ საგარეჯოსთან დაღუპული მალხაზ კუმლა-ძის ხსოვნას, რომელიც ძიუდოს პარა-ლელურად, სამბოშიც ჭიდაობდა და ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონიცა იყო...

განვლილ 6-თვიან პერიოდში სამბისტებმა ევროპის ჩემპიონატებში გამოსვლა მოასწრეს, სადაც სამივე ნაკრებმა ჯამში 20 მედალი მოიპოვა. აქედან 7 -უფროსებმა, 9 ჭაბუკებმა და 4 - ახალგაზრდებმა. ნაკრებთა გამოსვლები ეროვნულის თავკაცმა **ოლეგ იაძემ** მი-მოიხილა და გამოსვლა წარმატებულად შეაფასა. მას არც იმის აღნიშვნა და-ვიწყებია, რომ იქნებ ადრე გაცილებით მეტი მედალი მოჰქონდათ და იქნებ უკეთესი ხარისხისაც, მაგრამ მაშინ ბევრად უკეთეს პირობებში ემზადებოდნენ. თან, ეს მაჩვენებელია შარშანდელს რაოდენობრივადაც აღემატება და ხარისხობ რივადაც. თანაც, წლეულს ეროვნულმა ნაკრებმა პუტინის თასზეც იასპარეზა, სადაც ვერცხლის მედალი და ჯილდოდ 30 000 დოლარი მოიპოვა, რაც 9 სპორტსმენსა და 5 მწვრთნელზე განაწილდა

პრეზიდიუმის კიდევ ერთი მნიშვნე-ლოვანი საკითხი საქართველოს თასის გათამაშებაზე მომხდარი ინციდენტების განხილვა იყო. განსასჯელები ეროვნული ნაკრების ფოთელი წევრი **დავით** შენგელია (74), მისი მწვრთნელი, შარშან ფედერაციის საუკეთესო მწვრთნელადასახელებული ზურაბ ტულუში და გო რელი დავით ჭაბუკაშვილი (82) აღმოჩნდნენ, რომლებმაც აღნიშნულ ტურნირზე იჩხუბეს. სხდომის მონაწილეთა აზრით, სპორტსმენთა საქციელი დასაგმობია, როგორც უდისციპლინობა. მით უფრო, თურმე შენგელია ასე უცხოეთშიც მოქცეულა რამდენჯერმე და ჩვენი ფედერაცია გაუფრთხილებიათ კიდეც, განმეორების შემთხვევაში საერთოდ

გუნდს მოგიხსნით ჩემპიონატიდანო. ჩა დენილი საქციელი სპორტსმენებმაც მოინანიეს და პრეზიდიუმმაც მათ 6-თვიანი პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა, რაც მათ მსგავსი ინციდენტის განმეორებამდე არანაირად არ ზღუდავს. შეიძლება ითქვას, ერთგვარი მეგობრული გარიგება დაიდო ტუღუშთანაც, რომ ემოციები მანაც მოთოკოს, თუმცა ჩვენ თუ გვკითხავთ, მასაც და შენგელიასაც მსაჯთა მისამართით საფუძვლიანი პრეტენზიები გააჩნდათ. საქმე ისაა, რომ იმ სადავო მომენტებში თურმე ჭიდაობას მთავარი მსაჯი არ უყურებდა... ამან სა-ჩოთირო ამბავმა სხდომის მონაწილენი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ აუცილებელია შეხვედრების ვიდეოფირზე ჩანერა, რაც ყველა საკამათო ეპიზოდის გარჩევის საშუალებას მისცემს. აპარატურის პრობლემაც იქვე მოგვარდა - სხდომის მონაწილემ საკუთარი ტექნიკით დახმარების სურვილი გამოთქვა. გუშინ სამბოს ფედერაციის მთელი

შემადგენლობა ერთთვიან კუთვნილ შვებულებაში გავიდა. ისინი სამსახურს აგ-ვისტოს დასაწყისში დაუბრუნდებიან და ნაკრები ზღვისპირეთში გაემგზავრება იღდგენით-დასასვენებელ შეკრებაზე, სექტემბრიდან კი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებაზე გადავლენ. ახალ-გაზრდებისა და ჭაბუკების მსოფლიო პირველობა ოქტომბერში გაიმართება, უფროსებისა - 7-11 ნოემბერს ჩეხეთში. იაძის თქმით, თუ ხელისუფლება სამ შეკრებას მაინც ჩაუტარებს ნაკრებს, მინიმუმ, 2 ოქროს მოიპოვებენ, თუმცა არც მეტს გამორიცხავს. არადა, ისევ ერთი შეკრებით დაკმაყოფილდებიან, მაგრამ ოქროს მოპოვების იმედი მაინც ექნებათ.


მანამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ერნირია - 4-6 სექტემბერს ყაზახურ ასტანაში მსოფლიო თასი ჩატარდება, მაგრამ უსახსრობის გამო ნაკრები ვერ მიდის. თუ ვინმე საკუთარი ხარჯით გაემგზავრება, ფედერაცია ხელს არ შეუშლის.

ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲐᲠ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐᲗ

ბუშინწინ, პატარძეულთან ავტოავარიაში მოყოლილი ძიუდოისტები ჯერ ისევ ღუდუშაურის კლინიკაში რჩებიან, მაგრამ მდგომარეობა ბევრად გაუმჯო-ბესდა. შეგახსენებთ, რომ სამივეს - **არსენ მაჭარაშვილს, გიგა შოშიაშვილსა** გე ლევან შეგასიქცები, ისის მარკენ ასტებ ბავა სახის მოტეხილობები აღენიშ-ლევან შერმადინს ტვინის შერყევა და სხვადასხვა სახის მოტეხილობები აღენიშ-ნებათ, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე იმთავითვე არ ემუქრებოდა. გარდაცვლილებს სამშაბათს დაკრძალავენ - ალექსანდრე ბითარიშვილს მშობლიურ დუშეთში, მალხაზ კუმლაძეს - კასპის რაიონის სოფელ მეტეხში...



Menyece Jueus MESARTETAL



შონ მერიონი

ჩემპიონობას გუნდური თამაში და თითქმის იდეალურამდე დაყენებული დაცვა რომ იგებს, ეს უკანასკნელმა სუპერფინალმაც დაგვანახა. განვლილ სერიაზე ისედაც ბევრი დავნერეთ და ნიუანსების გახსენებით დროს არ წაგართმევთ, თუმცა პარალელის გავლებისგან ბოლომდე თავს მაინც ვერ შევიკავებთ.

ძლიერ, ულამაზეს შეტევას ავითა-რებს მატჩიდან მატჩამდე "ფინიქს სანზი", მაგრამ სოლიდური დამცველების დეფიციტის გამო, ამ გუნდს მთლად ბობოლებთან გადამწყვეტი სერიის მოგება მაინც უმძიმს. ერთადერთი, ვინც არიზონულ გუნდში დაცვაში მაგრადაც დგას და უყვარს კიდეც ამის კეთება, შონ მერიონი, ანუ იგივე "მატრიცაა", რომელიც... რამდენიმე დღეში გუნდს გამოიცვლის!

კობი ბრაიანტისა და კევინ გარნეტის გარშემო ატეხილი აურზაური ყველასა და ყველაფერს ჩრდილავს, თუმცა ამ ორი მეგავარსკვლავის ტრანსფერები ძალიან რთულად გასაჩარხი და საწვალებელია, მერიონთან მიმართებაში ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივადაა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მერიონი ლიგაში ერთ-ერთი სტაბილური მოთამაშეა, რომელიც საერთო ნაყოფიერების კოეფიციენტით პერმანენტულად მეორე-მესამე პოზიციას ინარჩუნებს, 2 წლის წინათ კი, სულაც საუკეთესო იყო და უკან გარნეტი, სტივ ნეში, ტიმ დან-კანი და დუეინ უეიდი ჩამოიტოვა.

ადრეც გვითქვამს და ერთხელაც გავიმეორებთ, რომ "ფინიქსი" ვერანაი-რად ვერ შეინარჩუნებს მერიონსა და ამარე სტაუდმაიერს, რადგან გუნდს სახელფასო ლიმიტის გადაცილებისთ-ვის სერიოზული ჯარიმის გადახდა მო-უწევს. თანაც, ჩვენი ამერიკელი კოლეგები ადრეც წერდნენ და ახლაც ხაზს უსვამენ იმას, რომ მერიონს ბევრ თანაგუნდელთან (მათ შორის, ამარესთანაც) სერიოზული პრობლემები აქვს.

ამარესა და შონის შედარებისას უპი-რატესობა პირველის მხარესაა. ასაკით (24 წელი 29-ის წინააღმდეგ), საშუალო ქულათა მონაგარით (20.4 - 17.5) და პოზიციით (სტაუდმაიერი მოძრავი ცენტრია, რაც ლიგაში დიდი იშვიათობაა) უპირატესობა სტაუდმაიერის მხარესაა, რომელმაც საბოლოოდ მოირჩინა ტრავმები და შარშანდელი სეზონი ძალიან მაღალ დო-ნეზე ჩაატარა. "ფინიქსში" მისგან მხოლოდ ერთი-ერთზე დაცვის გამოსწორებას ითხოვენ, სხვა მხრივ კი ამარე არიზონელ ბოსებს ყველაფრით აკმაყოფილებს.

და ვინაა მერიონის დათრევის ყველაზე რეალური გუნდი?

"ლეიკერსი"!

კალიფორნიელთა მფლობელი ჯერი ბასი მერიონის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა და **ფილ ჯექსონისთვის** შეუთ-ვლია, ამ ბიჭში "ფინიქსს" **ენდრიუ ბინუ**მი, კვამე ბრაუნი და ვლადიმირ რადმანოვიჩი მივცეთ და შონი ავიყვანოთო.

ბინუმი 19 წლისაა და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებია, ქარიმ აბდულ-ჯაბარი მასში არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარ თავს ხედავს. სულ სხვა აზრისაა ბასი, რომელიც ვერ იცდის და შედეგს ითხოვს, პერსპექტივაში გაძლიერება კი მისთვის მიუღებელია.

მერიონის გარდა, "ლეიკერსი" კიდევ ერთ, შონზე გაცილებით დიდი კალიბრისა და ასაკის მქონე მოთამაშესაც აიყვანს. საუბარია ვეტერან ფრთა გრანტ ჰილზე, რომელსაც "ორლანდოში" დარჩენა აღარ სურს და ფლორიდიდან აბარგება უნდა.

ჰილს კალიფორნიელები ორწლიან ონტრაქტს გაუფორმებენ და სადღაც, 14 მილიონ დოლარსაც გადაუხდიან.

"შონის დამატებით კობისაც შევი-ნარჩუნებთ. ენდი ბინუმის გაშვება კი გვიმძიმს, მაგრამ ჩვენი ბოსები შედეგს ითხოვენ, საამისოდ კი მერიონი, გრანტი და ალბათ, კიდევ ერთი გამოცდილი მოთამაშე დაგვჭირდება", - ამბობს "ლეიკერსის" ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ის "ერთ-ერთი" მოთამაშე კი შესაძოა, "ტორონტოს" უნივერსალი **ენტონი** პარკერი იყოს, რომელშიც კანადელებს მის მოგვარესა და საშუალო დონის გამ-თამაშებელ სმაშ პარკერს სთავაზობენ.

მოკლედ, "ლეიკერსს" დიდი გეგმები აქვს, ყველაფერი კი, ისევ და ისევ, კობის შენარჩუნებას უკავშირდება. თუ ეს ყველა ტრანსფერი რეალობად იქცა, მაშინ გუნდი მომავალ რეგულარულში არა მარტო საფლეიოფო ადგილისთვის, არამედ სულ მცირე, ფლეი ოფში პირველი წრის დაძლევისთვისაც იომებს.

NCEME

NHL & & > 56630 & O

1633997 4U934U 67U8W33F

სტენლის თასის ახალმა მფლობელმა - "ანაჰაიმ დაქსმა" ამ ზაფხულის მთავარი გარიგება განახორციელა: "იხვების" შეფობამ კონტრაქტი გაუგრძელა ძირითად მეკარეს - **ჟან-სე- გასტიან ჟიგერს**. კალიფორნიელები ხელშეკრულების დეტალებს არ ახმაურებენ, მაგრამ სააგენტო "როიტერის" მონაცემებით, საუბარია 4-წლიან და 24- მილიონიან კონტრაქტზე.

"ამ ექვსი წლის განმავლობაში, ჟიგერი ჩვენი გუნდის განუყოფელი ნაწილი გახდა. ის ლიგის საუკეთესო გოლკიპერად მიმაჩნია", - აცხადებს "ანაჰაიმის" გენერალური მენეჯერი ბრაიან ბურკი.

თავად მეკარეს არაერთხელ ჰქონდა ნათქვამი, რომ მას "დაქსში" დარჩენა სურდა და ამიტომაც, ახალი კონტრაქტის გაფორმებით გამოწვეულ სიხარულს არც დაუმალავს. "მე და ჩემს ოჯახს ძალიან შეგვიყვარდა კალიფორნია. ბედნიერი ვარ, რომ კლუბმა აქ დარჩენის საშუალება მომცა", - თქვა 30

წლის კანადელმა, რომელიც მონრეალშია დაბადებული. წლევანდელ ფლეი ოფში, ჟიგერმა მცირენლოვანი შვილის ავადმყოფობის გამო მხოლოდ სასტარტო შეხვედრები გამოტოვა. სტენლის თასზე მან 13 მატჩი მოიგო და მხოლოდ ოთხში დამარცხდა. საშუალოდ, "იხვების" მეკარე შეხვედრაში 1.97 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 92.2 პროცენტს იგერიებდა.

ჟიგერი "ანაჰაიმში" 2000 წელს "კალგარიდან" გადავიდა. ის 2003 წლის სტენლის თასის საუკეთესო მოთამაშედ დაასა-ხელეს. მაშინ "იხვებმა" ფინალურ სერიაში 7 მატჩში წააგეს "ნიუ ჯერსი დევილზთან". წლევანდელ რეგულარულში ჟიგერმა 56 მატჩი ჩაატარა (აქედან 36 მოგება - პირადი რეკორ-დი) და საშუალოდ 2.26 შაიბას უშვებდა.



ჟან-სებასტიან ჟიგერი

പാടാഗരാഗത

863K063ᲚᲘᲐ

ლენას აგრძელებს. საუკეთესო მენეჯერის დასახელების შემდეგ, ტურნირის ორგანიზატორებმა პრიზი საუკეთესო მწვრთნელს გადასცეს. ლაურეატი გახლავთ საბერძნეთის "პანათინაიკოსის" დამრიგებელი **ჟელკო ობრადოვიჩი**.

47 წლის სპეციალისტმა წლეულს ათენურ კლუბს ევრო-ლიგა და საბერძნეთის ჩემპიონატი მოაგებინა. ობრადოვიჩი მეექვსედ გახდა კონტინენტის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულის მფლობელი.

ንጠዊበሐጠ8ን KMBBN PSKRS

რომორც იცით, ცოგა ხნის წინათ, ლეგენდარულმა სერბმა კალათბურთელმა დეიან ბოდიროგამ კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

თუმცა, ბოდიროგა თავის უკანასკნელ გუნდში რომის "ლო-ტომატიკაში" სამუშაოდ დარჩება და იქ სპორტული დირექტორის პოსტს დაიკავებს.

სერბი გუნდის გენერალურ მენეჯერთან <mark>რობერტო</mark> ბრუნამონტისთან წყვილში იმუშავებს. ბოდიროგას კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნა დაევალება, რომელმაც მომავალში უმაღლესი მიზნებისთვის უნდა იბრძოლოს.

กกษะคนา

JERNAN ᲣᲘᲛᲑᲚᲦᲝᲜᲖᲔ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

რობორც იცით, ორი დღის წინათ, უიმბლდონის ორგანი ატორებმა ტურნირზე განთესილი ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნეს, თუმცა, ერთ დღეში ამ სიამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. კერძოდ, მამაკაცებს შორის პირველობის-თვის ვერ იბძოლებს მე- 18 ნომრად განთესილი ხორვატი - **3ა**რიო ანჩიჩი. ამ ჩოგბურთელმა ჯერაც ვერ მოირჩინა ტრავ-მა, რომლის გამოც მან "როლან გაროსი" გამოტოვა. აღსა-ნიშნავია, რომ 2004 წელს, ანჩიჩმა უიმბლდონზე ნახევარფი-

TV LEMACA

23 1361111. 3383011 HTB-3573Un (93663AOIN)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

პროგრამა. 12:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მარსელი. 14:10 საფეხბურთო კლუბი. 15:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელე-

ჟურნალი. 15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო

პროგრამა. 15:45 კოპა ამერიკას ნინ. 16:45 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 ნლე-ბის სეზონი. ლოკომოტივი-ინტერი. 18:45 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპი-ონატი, ევერტონი-ლივერპული. 20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო

აოოგოაძა. 20:50 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიო-ნატი. რომა-ინტერი. 22:40 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკ-რებები, ფინალი. ჰოლანდია-სერბეთი. ჰოლანდია

00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო

SPORT ((34/63/163)

08:00 ფეხბურთი. Barca TV. ანდრეს ინიესტა.
08:49 სპორტინფორმი.
09:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. შარაპოკა-იანკოვიჩი. ბირმინგემი. ინგლისი.
11:11 მინი-მოედანი.
11:25 ფებურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-დინაშო (პიუსტონი).
13:40 ცურვა. Fina Mare Nostrum. ბარსელონა. ესპანეთი.

პანეთი. 17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოტინ-გემი. ბრიტანეთი (LIVE). 18:32 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა. 18:58 ოლიმპიზმი. პეკინი 2008. 19:25 ცურვა. FINA-ს გრან-პრი. სლოვენია (LIVE). 21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. პალე.

გერმანია. 22:35 ერივი. რინგ -საიდი. 23:32 სპორტის სამყარო. 00:00 ფეხბურთი. Barca TV. ჩავი. 00:48 სპორტკლუბი. 01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ჟუვენ-ტუდე-ფიგუერენსე (LIVE). 03:00 ცურვა. Fina Mare Nostrum. ბარსელონა. ეს-

06:16 ფეხბურთი. Barca TV. ჩავი.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი. 11:00 ფებპურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. 12:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთის გრან პრი.

13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქა-ლები. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE). 15:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩე-

ხეთი. 15:30 მძლეოსნობა. ევროპის თასი. მიუნხენი. გერ-მანია (LIVE).

მანია (LIVE).
19:00 რალი, ახალი სერია, II დღე, ბელგია (LIVE).
19:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი, დიდი ბრიტანეთის გრან პრი.
20:00 მულტისპორტი.
20:30 ჩოგბურთი.
20:45 ჩოგბურთი, WTA-ს ტური, ფინალი, ისტბურ-

20:48 ჩოგბურთი, WIA-ს ტური. ფიხალი. ისტბურ-ნი. ბრიტანეთი. 22:15 რალი. ახალი სერია. II დღე. ბელგია (LIVE). 22:30 კრივი. ევროპის ჩემპიონატი. საშუალო ნონა. რ. დიასი (ესპანეთი)-ლ. შონია (საქართველო). ბილბაო. ესპანეთი (LIVE). 01:00 რესტლინგი. 12:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩე-

EUROSPORT-2

08:45 ახალი ამბები.

09:15 რალი, ახალი სერია. I დღე. ბელგია. 09:30 ახალი ამბები.

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი.
10:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი.
12:00 მულტისპორცი.
12:30 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
14:00 მოტოსპორტი, მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბროტანეთის გრან პრი.

ბრიტანეთის გრახ პრი.
14:45 ახალი ამბები.
15:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი.
16:30 როგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰერტო-გენბოში. პოლანდია (LIVE).
18:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამა-კაცები. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
19:00 პლაჟის რაგბი. ჩელენჯ პრო. საფრანგეთი (LIVE).

21:00 წყალბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". მე-3 ადგილისთვის. 21:45 სერფინგი. 22:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტა-პი. ჰოლანდია-გერმანია. როტერდამი. ჰოლანდია (LVC).

(LIVE). 00:15 რალი. ახალი სერია. II დღე. ბელგია (LIVE). 00:30 მულტისპორტი. 01:00 ახალი ამბები. 01:15 წყალბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი".

ფინალი. 02:15 ახალი ამბები. 02:30 რალი. ახალი სერია. II დღე. ბელგია. 02:45 სერფინგი. 03:00 ახალი ამბები.

03:30 რალი. ახალი სერია. II დღე. ბელგია. 05:45 რალი. ახალი სერია. II დღე. ბელგია.

24 กิวิธิกินก. ปังกัศง

HTB-357360 (93663A00) თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო

ამოფანის. 12:20 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არ-გინტინა).

გენტინა). 14:10 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკ-რებები. ფინალი. ჰოლანდია-სერბეთი. ჰოლანდია. 16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო

პროგრამა.
16:15 ტოქ-შოუ - 2:1.
17:00 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 ნლე-ბის სეზონი. ლიონი-ბაიერნი.
18:50 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპი-ონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
20:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

20:55 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრ რებები, ფინალი, პოლანდი ქცენბენი, მოწვანცია(**)
22:40 ჩემპიონთა ლიგის არქიჭიტან, 2003-04 წლების სეზონი, ჩელსი-ლა(ქო) კ **** [] [] [] ქ ქ ქ

07:18 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. პალე

გერმანია.

08:53 ხელბურთი.

09:12 აფროსნობა. ამერიკის თასი.

09:43 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).

12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოტინ-გემი. ბრიტანეთი.

13:33 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

14:01 ცურვა. FINA-ს გრან-პრი. სლოვენია.

15:33 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ჟუვენ-ბუდე-ფიგუერენსე.

13:33 ფებბურთი. ბრა ზილიის ჩემძიონატი. ჟუვეხ-ტუდე-ფიგურენსე. 17:18 მხატკრული ტანვარჯიში. 17:35 რეტრო-ფებბურთი. ინგლისის თასი. ფინა-ლი. 1983 ნელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი. 19:25 ცურვა. FINA-ს გრან-პრი. სლოვენია (LIVE). 21:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა, ჩე-

23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ამერი-

23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიოხატი. ამერი-კა-ფლუმინენსე (LIVE). 01:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინა-ლი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).

თეთიობი (ათკელია). 02:45 სპორტის სამყარო. 03:15 ცურვა. FINA-ს გრან-პრი. სლოვენია. 04:50 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ჟუვენ-ტუდე-ფიგუერენსე.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი. 11:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქა-ლები. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი. 12:00 მძლეოსნობა. ევროპის თასი. მიუნხენი. გერ-

მანია. 13:00 მოტოსპორტი, მსოფლიო ჩემპიონატი. ბრი-ტანეთის გრან პრი (LIVE). 14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრი-ტანეთის გრან პრი. 250 cc. (LIVE). 15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრი-ტანეთის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE). 17:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრი-ტანეთის გრან პრი. 125 cc. (LIVE). 18:15 პლაჟის ფრენპურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE). 19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამა-კაცები. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE). 20:00 მძლეოსნობა. ევროპის თასი. მოუნხენი. გერ-

23:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი. 23:30 კრივი. 01:00 სუმო. 02:00 მძლეოსნობა. ევროპის თასი. მიუნხენი. გერ-

03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი

EUROSPORT-2

06:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი (LIVE). 07:45 რალი. ახალი სერია. II დღე. ბელგია. 08:00 ახალი ამბები.

08:00 ახალი ამბები.
08:45 რალი. ახალი სერია. II დღე. ბელგია.
09:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი (LIVE).
12:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
ფლეი ოფი. ფინალი. ბარსელონა-რეალი. IV მატჩი.
13:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ეგვიპტე-სერბეთი. ეგვიპტე.
14:45 ახალი ამბები.
15:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი.
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. მე-3 ადგილისთვის. პარიზი. საფრანგეთი
(LIVE).

[17-00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. პოლანდია-გერმანია. როტერდამი. პოლანდია (LIVE). 19:00 პლაჟის რაგბი. ჩელენჯ პრო, საფრანგეთი

21:00 აეტოსპორტი. ჩემპკარის სერია. კლივლენ-ღი. აშშ (LIVE). 23:00 ახალი ამბები. 23:15 სერფინგი.

23:00 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი. 00:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენ-ტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-იტალია. საფ-

01:15 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. 02:45 სერფინგი. 03:00 ახალი ამბები.

upseu pseu

മാഴ്ചെയ്യ **IIA**空36空13 **2011-19.** 379PU

0:1 335730n-33384MJN 1:1 മോംലാല-പ്രവാദ 0.2

Maramu M374977U-M924EU

> JJEJOBJAON วเรารอบบ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ みんしつでからしょういぐか

NONCSEMA

ATP. 6M8068380 ბიორკმანი-მატიო 2:6, 6:3, 6:4 გასკე-კლემანი **ტურსუნოვი**-ლოპესი 4:6, 3:6

4:6, 6:3, 7:5 ATP. JOMAMAGEAMAN

ბეკერი-დუპუი 6:7, 3:6 ლუბიჩიჩი-ბენეტო 7:6, 3:6, 6:4 206995 ვესელსი-დუპუი

NBAC66JN .ATW ანენი-ბარტოლი 6:1,6:3 მორესმო-პეტროვა 6:4 206993

NEMAGGENESALS ATM

იანკოვიჩი-საფინა 6:3, 3:6, 7:6 ჩაკვეტაძე-პანტუხოვა 6:4, 6:3

2:0

75:70

T CPEGATE

മാസസം ഭാ **ฃ**ᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝᲡ **Ზ**ᲐᲕᲘ

"მაკლარენ მერსეფესის" პილოტებმა ლუის ჰემილტონმა და ფერნანდო ალონ-სომ მოილაპარაკეს, რომ მომავალში ჟურნალისტებთან საუბრების დროს, სიტყვასაც არ დაძრავენ ერთმანეთზე, ამ ერთობ-ლივი გადაწყვეტილების შესახებ, მასმედი-ას ბრიტანელმა პილოტმა სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე აცნობა.

"ფერნანდო ესპანელია, ხოლო იქაური პრესა ნაჩვევია ჩვენი სიტყვებიდან სრულიად განსხვავებული აზრის გადმოცემას. ივივე შემიძლია ვთქვა პრიტანულ მასმედიაზეც. ჩვენ ვცდილობთ ერთმანეთის მხარდაჭერას. რა თქმა უნდა, კონკურენტები ვართ, ორივეს გვინდა გამარჯვება, მაგრამ ერთმანეთის პატივისცემა ყოველთვის გვახსოვს. მაგალითად, ჩემი ბოლო გამარჯვების შემდეგ, ალონსო მოვიდა და გულწრფელად მომილოცა წარმატება, - ამბობს ჩემპიონატის ლიდერი და იქვე ამატებს. - ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ერთმანეთის შესახებ მხოლოდ ერთობლივი პრესკონფერენციების დროს ვილაპარაკებთ. მინდა, თავიდან ავიცილო სიტუაცია, როცა ალონსო გაზეთს გადაშლის და ჩემს დამახინჯებულ ინტერვიუს ნაიკითხავს".

JCAMSCNAG JEMERAPU PSSYY

წლემანდელი ჩემპიონატის მიმდინარეობას გამოეხმაურა კონსტრუქტორთა თა-სის მოქმედი მფლობელი, "რენოს" ბოსი ფლავიო ბრიატორე. ესპანური AS-სთვის მიცემულ ინტერვიუში იტალიელი სპეციალისტი აცხადებს, რომ წლეულს, მსოფლიო ჩემპიონი მისი ყოფილი შეგირდი ფერნანდო ალონსო გახდება.

"მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის, საერთო ჩათვლაში ჰემილტონი ალონსოს 10 ქულით უსწრებს, ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ ტიტულს კვლავ ეს-პანელი პილოტი მოიგებს. ის შარშანაც იყო მსგავს სიტუაციაში, როცა ფერნანდოს ყველა დამარცხებას უნინასწარმეტყველებდა. ის ამ საუბრებს ყურადღებას არ აქცევდა, ბოლომდე იპრძოდა და იგებდა კიდეც. მისი უპირატესობა ჰემილტონთან სწორედ იმა-ში მდგომარეობს, რომ მან ზუსტად იცის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები შემდეგ ეტაპებზე", - ამბობს ბრიატორე.

სხვათა შორის, გუშინ გახდა ცნობილი, რომ იტალიელი გაისადაც "რენოში" დარჩება და ამ გუნდს უხელმძღვანელებს.

30204U: 939U 74 **ぺいるんりもぐりるい**

ბოლო პერიოდში, ფორმულა 1-ის სამყაროში აქტიურად მიმდინარეობდა იმ სენსა-ციური ჭორის განხილვა, თითქოს გერმანელი **მიხაელ შუმახერი** ფორმულაში დაბ-რუნებას აპირებდეს.

გუშინ, ამ საკითხთან დაკავშირებით ყველანაირ მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღო მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მენეჯერმა **ვილი ვებერმა**, რომელმაც ასეთი რამ განაცხადა: "სრული სისულელეა. მიხაელი ფორმულაში არ დაბრუნდება!"

476. AUG. AUG. <u>ᲒᲝᲚᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ?</u>

ფოენა უილიამსი თითქმის დარწმუნებულია იმაში, რომ ეს სეზონი უკანასკნელი იქნება ფორმულა 1-ში "ტოიოტას" გერმანელი პილოტისთვის - **რალფ შუმახერისთვის** შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი "უილიამ-სის" რიგებში 1999-2004 წლებში გამოდიოდა.

"რალფის გამოსვლას დიდი ხანია ვადევნებ თვალს და წლეულს ისეთი შთაბექდი-ლება შემექმნა, რომ მან აბსოლუტურად დაკარგა ინტერესი რპოლების მიპართ. ვფიქრობ, მისი კარიერა დასასრულს მიაუხლოვდა", - განუცხადა Die Presse-ს "უილიამსის" მფლობელმა.

กะบองบรอบ

CMECHESU. ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** გამოაცხადა, რომ 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიური თამაშების დროს, დაახლოებით 5 ათასი დოპინგ-ტესტის ჩატარება იგეგმება. შესაბამისად, კონტროლის ქვეშ იქნება თამაშების, ფაქტობრივად, ყოველი მეორე მონაწილე - აღნიშნავს სააგენტო "როიტერი"

პეკინის ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით, ტესტების რაოდენობა 10 პროცენ-ტით გაიზრდება. **ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1**.

പാരാജന ഷമനമ്പാപ്പെ SCECOE UYCECECS

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲘᲡ ᲑᲝᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐᲜᲘ

მათთვის, ვინც რბოლებს თვალს ტრიბუნებიდან ან ტელევიზორების ეკრანებიდან ადევნებენ, სარბოლო მანქანების ბოქსები - ეს მხოლოდ სივრცეა, სადაც მექანიკოსები თავს დასტრიალებენ ბოლიდებს. მათთვის კი, ვისაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს რბოლებთან, ბოქსები არის კონკურენტი საჯინიბოების დაზვერვის ცენტრი და ამავდროულად, ჯაშუშობასთან ბრძოლის ცენტრიც. სხვადასხვა ევროპული გამოცემები ამ პრობლემას დიდ ყურადღებას აქცევენ.

როგორც გერმანული ყოველკვირეუ-ლი Sport-Bild წერს, "ფერარის" მთავარ კონსტრუქტორს **რორი ბირნს** განმარტოება უყვარს. ამიტომაც, ეს სახელგანთქმული სამხრეთაფრიკელი თავის ოჯახთან ერთად გოლფის მინდვრის განაპირას ცხოვრობს. ფორმულა 1-ის რბოლების ხმაურიანი ატმოსფერო კი არ სიამოვნებს და ამიტომაც, წელიწადში მაქსიმუმ სამ ეტაპს ესწრება ხოლმე.

მაგრამ, 2004 წლის აპრილში, ბირნი მაინც ჩავიდა იმოლაში, სადაც მიხაელ შუმახერის ზედიზედ მეოთხე გამარჯვების მოწმე გახდა. მაშინ, "ფერარის" შეფმა ჟან ტოდტმა განაცხადა, რომ ძალიან უხაგია დავისი ძველი მეგობრის ხილეა, რად-გან "ფერარის" მუდმივი გამარჯვებები მი-სი, ანუ რორის დამსახურებაა. მართლაც, ბირნის მიერ შექმნილი ბოლიდი - F2004-ის ექსპერტებმა ტექნიკის სასწაულად მო-ნათლეს. "ჯერ არასოდეს ემჯდარეაბა ასეთ მანქანაში!" - ყოველ კუთხეში გაიძა-ხოდა მაშინ "წითელი ბარონი".

შუმახერის მეტოქეები უძლურნი იყვნენ კონკურენცია გაეწიათ მისთვის, ამი-ტომაც, ოცნებობდნენ - "ფერარის" ბოლიდებში აღმოეჩინათ ისეთი დეტალები, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ დადგენილ რეგლამენტს. სწორედ მაშინ დაინყო

F2004-ზე ტოტალური შპიონაჟი.
იმ დროს, "უილიამსისა" და "მაკლარენისთვის" საბურავების მიმწოდებელი ფირმა "მიშლენის" სპორტული დირექტორი პიერ დოუპაკსიე იხსენებს: "ეს ჩვენი სამუშაოს ნაწილს წარმოადგენდა - მოგვეძებნა მეტოქეთა რიგებში დარღვევა და თუ ასეთი

არსებობდა, საჯაროდ გვექმხილა ისინი".

მას შემდეგ, ჯაშუშობა ფორმულაში წესად იქცა. BMW-ის სპორტული დირექ-ტორი მარიო ტიისენი პატიოსნად აღიარებს: "ჩვენ ვამონმებთ ყველა ჭორს მეტოქეთა არასამართლიანი თამაშის შესახებ. პირველ რიგში, ვსწავლობთ ფოტომასალებს და შემდეგ ვაკეთებთ დასკვნებს". ტიისენის სიტყვებით, ის ყოველთვის გახარებულია, როცა მონაკოს გრან-პრი ახ-ლოვდება, რადგან იქ, ქუჩების სივიწროვის გამო, შესაძლ**ვ**ბელია რბოლაში მონა-წილე ყველა მანქანის საფუძვლიანი ფო-

ტოგამოკვლევის ჩატარება. მეორეს მხრივ, "ფერარის" ბოსებიც ნამდვილ ჩემპიონებად მოგვევლინენ მეტოქეთა დაკვირვების საქმეში. ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **კრისტიან დანერი** ამბობს: "იტალიელეპი კონკურენტების ყველა იმ დეტალს ამჩნევენ, რომელიც ოდნავ მაინც ლირებულია".

ტურისტი **ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ**

ჯაშუშობის საკითხის გამოკვლევაში თავისი წვლილი შეიტანა შვეიცარიულმა გამოცემა Sport-Magazin-მა. BMW-ის აეროდინამიკური განყოფილების შეფმა ვი-ლემ ტოეტმა, ამ ჟურნალის კორესპონდენტთან საუბრის დროს ენას კბილი ვერ დააჭირა. თურმე, "ფერარიში" მუშაობის დროს, ტოეტის უშუალო ფუნქციებში შედიოდა კონკურენტებზე დაკეირვება. ის ცნობის-მოყვარე ტურისტის როლს თამაშობდა, სტარტამდე მეტოქეთა ბანაკში შედიოდა და უცხო ბოლიდებში ყველანაირ სიახლეს აფიქსირებდა. მაგრამ, საბოლოოდ ტოეტი გამოიჭირეს და შპიონაჟში ამხილეს.

ამ ფაქტმა გუნდებს ტაქტიკის შეცვლა აიძულა: მათ დასახმარებლად პროფესიონალ ფოტოგრაფებს მიმართეს, რომლებიც სამეფო რბოლებზე მრავლად არიან ხოლმე. გიგანტურ ფოტოობიექტივებისგან ძნელია რაიმე საიდუმლო დამალო, ასეთი აპარატუ-რის პატრონები კი, მოხარულნი არიან, რადგან აქედან დამატებითი შემოსავალი აქვთ.

პრინციპში, ასეთი დაზვერვითი სამუ-შაოები ფორმულა 1-ში არ იკრძალება. წა-



ორმულას ბოლიდს ბევრი საიდუმლო აქვს

გებულნი რჩებიან მხოლოდ მაყურებლები გასაგები მიზეზების გამო, გუნდები ცდილობენ, დამალონ თავიანთი საიდუმ-ლოებები. როგორც კი, პილოტი ბოქსებში შედის, მომსახურე პერსონალი მაშინვე კარს ხურავს.

საერთოდ, საერთაშორისო ავტოფედერაცია მაყურებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, უკრძალავს გუნდებს ამგვარი "ბარიკადების" აღმართვას, მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თავისსავე ამ ბრძანების შესრულებას საერთოდ არ აკონტროლებს. საქმე იქამდეც კი მი დის, რომ მექანიკოსები ბოქსების წინ "ცოცხალ კედელს" ქმნიან - ამით ისინი ცნობისმოყვარეთა მზერისგან იცავენ საკუთარი ბოლიდის "შინაგან ორგანოებს". ბოქსებში მოხვედრის მსურველებს,

პიტ-ლეინზე შესასვლელი ელექტრონული საშვის გარდა, შესაბამისი გუნდების შესა-ბამისი ნებართვაც უნდა ჰქონდეთ. გარდა ამისა, ბევრი გუნდის კართან შავ კოსტიუ-მებში გამოწყობილი ფართობეჭებიანი მა-მაკაცები დგანან. ისინი თავიანთი მზერით

გაფრთხილებენ: "ყურადღება! უკიდურე-სად გასაიდუმლოებულია!" მეორეს მხრივ, სამეფო რბოლებში შპი-ონაჟი ერთგვარ რიტუალად გადაიქცა. აი, რას ამბობს "ფერარის" ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი - ჯონ ილი: "უნდა ვალიარო, რომ ხანდახან მსიამოვნებს, როცა ვიგებ, რომ ჩემს სიახლეებს ვიღაც იპა-რავს. ე.ი. იდეები, რომელთა მართებულო-ბაში ხანდახან ეჭვი მეპარება, მართლაც

მაგრამ ხშირად, საქმე სასამართლომ-დეც კი მიდის. Sport-Magazin-ის ცნობით, არც ისე დიდი ხნის წინათ, კიოლნის გარეუბანში მდებარე "ტოიოტას" ფაბ-რიკაში, სადაც სარბოლო მანქანები მზადდება, შპიონაჟის სფეროში მომუშა-ვე გამომძიებლებმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერეს. როგორც კი მათ ერთ-ერ-თი ეჭვმიტანილის კომპიუტერი ჩატვირთეს, ეკრანზე საქვეყნოდ ცნობილი ცხე-ნი - "ფერარის" სიმბოლო გამოჩნდა. როგორც გაირკვა, იტალიური საჯინიბოს ორმა ყოფილმა თანამშრომელმა წინა სამუშაო ადგილიდან ფასეული პროგრამე-ბი ნამოიღეს, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს ემბლემის მოშორება, რომელიც "სკუდე-რიას" ნინდახედულმა თანამშრომლებმა დააყენეს. დამნაშავეებს ახსნა-განმარტების მიცემა გერმანულ სასამართლოში

კიდევ ერთი ხმაურიანი საქმე ცნობი-კონსტრუქტორის - **გუსტავ ბრუნე**რის სახელს უკავშირდება. ერთ დროს, ამ კაცის წლიური ხელფასი 3 მილიონ ევროს უტოლდებოდა. ბრუნერი იმაში დაადანაშაულეს, რომ 2002 და 2003 წლებში, მან ტოიოტასთვის" "ფერარის" ძალიან მიმგვანებული მოდელები შექმნა. ბრუნერი ამტკიცებდა, რომ ეს შემთხვევით მოხდა. მაგრამ, 1978 წლიდან მოყოლებული, ის რვა სხვადასხვა საჯინიბოში მუშაობდა, "სკუდერიაში"კი, ექვსი წელიწადი გაატა-რა. "ტოიოტამ" საკუთარი იმიჯის შესა-ნარჩუნებლად, არა მარტო ბრუნერი, არამედ აეროდინამიკის შეფი რენე ჰილჰორსტი და გუნდის ხელმძღვანელი ოვე ანდერსონი გაათავისუფლა.

J650206000 08696 აგრძელეგს

თუმცა Sport-Magazin-ის აზრით, იმის ასაგებად, რომ ფორმულა 1-ის კულისებში ყველაფერი სუფთა არ არის, ძველი გაზეთების დათვალიერებაც საკმარისია. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ძრავა, რომელიც ოდესღაც **მარიო ილიენმა** "მერსედესისთვის" დაამზადა, არგენტინის გრან-პრის წინ გაქრა. გარკვეული დროის შემდეგ, ძრავა იპოვნეს, მაგრამ ყუთები გახსნილი იყო და

იათვიეს, ბაგოამ ყუთები განსხილი იყო და მაშინვე ცხადი გახდა, რომ ეს ფასეული ნივთი ვილაცას კარგად შეუსწავლია. ფირმულაში არსებულ ე.წ. შავ ბაზარ-ზე ცოდნას ყიდულობენ და ყიდიან. რამ-დენიმე ათასი ევროს სანაცვლოდ, ღირებულ ინფორმაციას მალე მოუძებნიან მყიდველს, უფრო დიდი საიდუმლოებები კი, 50 ათასი დოლარი ღირს. ინფორმაციის მიღების ყველაზე საიმედო საშუალებაა - საპირისპირო ბანაკის რომელიმე წევრის მოსყიდვა. საუკეთესო კადრების გადაბირების ბაზარი კიდევ იმ მიზეზით ყვავის, რომ ბოლო დროს, ბევრი მდიდარი საჯინიბთ გამოწნდა, რომტობად გაგოლიდა ა ნიბო გამოჩნდა, რომლებიც კვალიფიკა-ციური კადრებით გაძლიერებას ლამობენ. შეგიძლიათ ნარმოიდგინოთ, რა ხელფასს შეგიმლიათ ნაომოიდგინოთ, ოა ხელფანს დაუნიშნავენ ერთი წლით გათავისუფლე-ბულ **როს ბრაუნს**, თუ ის უცებ რომელიმე კერძო ფირმაში მუშაობას დათანხმდება.

კერძო ფირმაში აუსა ამ და გამუშების კიდევ ერ-ფორმულა 1-ში ჯაშუშების კიდევ ერ-თი საყვარელი საქმიანობაა - კონკურენტთა რადიო- ეთერისთვის თვალყურის დევ-ნება. მას, ვინც იცის, თუ რაზე დავობენ სტარტის წინ მოწინააღმდეგის ბანაკში, შეუძლია იმ გუნდის გეგმები უშუალოდ რბოლის დროს არიოს.

ფორმულას კულუარებში ხშირად ჰყვე-ბიან ერთ მხიარულ ისტორიას, რომელიც ნათლად ასახავს რადიომეკობრეობაში შექმნილ სიტუაციას: ერთხელ, "ჰონდას" თა-ნამშრომლებში გაოგნებულები დარჩნენ, იმდენად კარგად ესმოდათ მათ ეთერში ვი ლაცის საიდუმლო რადიოტალღა. და მაშინ გაირკვა: ისინი მეტოქეთა ინფორმაციის ძებნაში ისე გაერთნენ, რომ ქალაქის ტაქსო-პარკის დახურულ რადიოქსელში შეაღწიეს. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ

შარშან და შარშანწინ, **ფერნანდო ალონ**სოს ბოლიდის ტელემეტრიულ საიდუმ-ლოებებზე ნამდვილი ნადირობა იყო გა-მოცხადებული. "რენოს" თავის "ელექტ-რონიკაზე" მრავალსაფეხურიანი დაცვის დაყენება მოუხდა, მაგრამ ჰაკერები არ ნებდებოდნენ. ფრანგებმა გადაწყვიტეს გაეგოთ, თუ ვინ იყო ასეთი ცნობისმოყვარე. კვალმა ისინი გერმანიის დემოკრატირესპუბლიკის დაზვერვის ყოფილ თანამშრომლებთან მიიყვანა. გავაწყობთ, მოგვიწევს ჩვენი სამუშაოს თავიდან დაწყება", - განაცხადა მაშინ "რენოს" სპორტულმა დირექტორმა. ყველაზე საოცარი ის არის, რომ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ, უკვალოდ გაქრა ფრანგუ-ლი სპეცსამსახურების კომპიუტერთა ქსელიდან, ამ საქმეში შემჩნეული "შტა-ჟის" ექს-თანამშრომლების დოსიეები.

ჯაშუშობა, ეჭვგარეშეა 2007 წლის სე-ზონშიც მოქმედებს. თანაც, რთული მისახვედრი არ არის, თუ რომელი გუნდის მისა-მართით არის მიპყრობილი ყველაზე თანამედროვე ჯაშუშური მოწყობილობები.



LIMACUETH AD BOUND IN

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ **00580% 808080**

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲞᲐᲐᲢᲐ <mark>ᲒᲔᲚ</mark>ᲐᲨᲕᲘᲚᲘ

രാഭാർക്സഭാദന

858733 KO677540 805 0355555033050

この多名のようにいいいのかくな 603MCM 60304040 35545 MMM540 30458 8537533050 90458 8537533050 958540 ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ %3ᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲒᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ 80603 **8**06853530

മാലെ വക്കുന്നു ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲝᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ **%**ᲣᲠᲐᲒ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲒ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, 858735 d56005605, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲛᲔᲚᲘᲫᲔ 603M353550033050

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

80d60J73K0 K0R5d8MK0

&3d60J7K03x8790. ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, **Მ**ᲖᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲥᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲒᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ ᲚᲔᲚᲐ <mark>ᲮᲝᲛᲐ</mark>ᲡᲣᲠᲘᲫᲔ **ლ**0356 გიგილ5330ლი

353KG30539U PS9PSPAU &S 306767260389380 **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ** (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაკიძე, 4000336 ᲓᲘᲓᲒᲔᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ **Ჯ**ᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48) ᲒᲐᲥᲐᲠ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17) 25m35 3556m043

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელნოდებით 'საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლეპში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

Lamasn

2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ: ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲒᲐᲫᲔ (1949-52, 64-76) ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53) ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64) ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83) SAROT 8M80TOS (1984-85)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ**. ᲨᲞᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ**Ი **ლつლო, ᲨᲞᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ**



35A&60MAO: しろむろんの3つでかし MEDSSON MEDSSON **ಚಗ್ರಕ್ಷಣ**

0108 **0750** 0010 46 30 56, 46 32 62, 98 23 94. 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10°. 0159 **の**おの空のしの (ᲓᲘᲚᲝᲛᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢ^ᲠᲣᲓᲘᲐ, 30Რ3ᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ 335Jbn: +995.32463097 e-mail: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ

